

პი ემ სი კვლევითი ცენტრი

**მუნიციპალური  
სოციალური  
პოლიტიკის ანალიზი  
შიდა ქართლის  
მაგალითზე**

2019  
თბილისი

**პი ემ სი კვლევითი ცენტრი ანალიტიკის დოკუმენტი**



პი ემ სი კვლევითი ცენტრი

**მუნიციპალური  
სოციალური პოლიტიკის  
ანალიზი შიდა ქართლის  
მაგალითზე**

*ციალა დარახველიძე  
ნანა ფერაძე*

2019  
თბილისი



Research



# სარჩევი

აბსტრაქტი .....	7
შესავალი .....	8
1. კვლევის მეთოდოლოგია.....	9
2. სოციალური მომსახურების ზოგადი აღწერა საქართველოში .....	10
2.1 სახელმწიფო სოციალური პროგრამები ცენტრალურ დონეზე .....	11
2.1.1 სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები .....	11
2.1.2 სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების ადმინისტრირება საქართველოში.....	12
3. სოციალური მომსახურების პოლიტიკის ანალიზი სამიზნე მუნიციპალიტეტებში .....	14
3.1 გორის მუნიციპალიტეტი.....	15
3.1.1 სოციალური პროგრამის ბიუჯეტის და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი .....	16
3.1.2 სოციალური დახმარების გაცემის წესი .....	17
3.1.3 სოციალური პროგრამა და მისი ბიუჯეტი .....	18
3.1.4 ადგილობრივი სოციალური პროგრამის შეფასებამონწყვლადი ჯგუფების მიერ.....	19
3.2 ქარელის მუნიციპალიტეტი .....	21
3.2.1 სოციალური პროგრამის ბიუჯეტის და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი .....	21
3.2.2 სოციალური პროგრამა და მისი ბიუჯეტი .....	22
3.2.3 ადგილობრივი სოციალური პროგრამის შეფასება მონწყვლადი ჯგუფების მიერ.....	23
3.3 კასპის მუნიციპალიტეტი .....	24
3.3.1 სოციალური პროგრამის ბიუჯეტის და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი .....	24
3.3.2 სოციალური დახმარების გაცემის წესი .....	25
3.3.3 სოციალური პროგრამა და მისი ბიუჯეტი .....	26
3.3.4 ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამის შეფასება მონწყვლადი ჯგუფების მიერ.....	26
3.4 ხაშურის მუნიციპალიტეტი.....	27
3.4.1 სოციალური პროგრამის ბიუჯეტის და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი .....	28
3.4.2 სოციალური პროგრამა და მისი ბიუჯეტი .....	29
3.4.3 ადგილობრივი სოციალური პროგრამის შეფასება მონწყვლადი ჯგუფების მიერ.....	30
3.5 შეჯამება.....	31
4. დასკვნა .....	34
5. რეკომენდაციები .....	35
6. გამოყენებული ლიტერატურა .....	36
7. დანართები .....	37



## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევით გაანალიზებულია შიდა ქართლის რეგიონის – გორის, ხაშურის, ქარელისა და კასპის მუნიციპალიტეტების სოციალური პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი, გამოკვეთილია არსებული ხარვეზები და გამოწვევები, აგრეთვე, წარმოჩენილია მოსახლეობის მიერ ადგილობრივი სოციალური პროგრამების შეფასება.

დოკუმენტის მომზადებისას, თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით შეფასდა:

1. ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის / ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი;
2. სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული სოციალური პროგრამები, ქვეპროგრამები და მათი გაცემის წესი;
3. სოციალურად მონყვლადი მოსახლეობის კმაყოფილების დონე ადგილობრივი სოციალური ქვეპროგრამებით.

შეგროვებული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში სოციალური პოლიტიკის შექმნის პროცესი არასისტემატიზებულია, ხოლო პროგრამები ძირითადად ერთჯერადი სოციალური გასაცემლებით შემოიფარგლება. ამასთან, როგორც სოციალური პროგრამების დაგეგმვის, ისე გადანაცვეტილების მიღებისას, მონყვლადი ჯგუფების საჭიროებების კვლევა არასათანადოდ ხორციელდება. შესაბამისად, მწირია ამ პროცესში სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ჩართულობა.

**ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:** სოციალური მომსახურება, მუნიციპალიტეტი, სოციალური პოლიტიკის დაგეგმვა, მონყვლადი ჯგუფი, საჭიროებების ანალიზი.

## შესავალი

2012 წლის შემდეგ საქართველოში მთავრობის პრიორიტეტად ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო დასახელდა. 2016 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში ამ მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები საგრძნობლად გაიზარდა<sup>1</sup>. ცენტრალური ხელისუფლების დონეზე სოციალური პროგრამები ძირითადად სოციალური მომსახურების სააგენტოს მეშვეობით ხორციელდება, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობები, მათი ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში, დამატებით სოციალურ პროგრამებს ახორციელებენ.

კვლევის მიზანია, შიდა ქართლის ოთხ მუნიციპალიტეტში – გორში, ქარელში, კასპსა და ხაშურში სოციალური პოლიტიკის სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევების ანალიზი. კერძოდ, 1) ადგილობრივი სოციალური ბიუჯეტის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის შესწავლა, 2) თითოეულ სამიზნე მუნიციპალიტეტში სოციალური მომსახურების, სოციალური პროგრამებისა და მათი გაცემის წესის იდენტიფიცირება და 3) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული სოციალური მომსახურების შეფასება.

კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევისათვის დამახასიათებელ მეთოდებს, როგორცაა სამაგიდო კვლევა, სიღრმისეული და ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუები. სამაგიდო კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე შემუშავებული სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკანონმდებლო აქტი და დოკუმენტი. ასევე, განხორციელდა ოთხივე მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების, სოციალური დახმარების გაცემის წესის, მუნიციპალიტეტების სოციალურ სამსახურში არსებული სტატისტიკისა და სხვადასხვა მონაცემთა ბაზის შესწავლა.

მუნიციპალურ დონეზე, სოციალური პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის შესწავლის და საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენისთვის სამიზნე მუნიცი-

პალიტეტებში გადანყვეტილების მიმღები სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები. სიღრმისეული ინტერვიუებისთვის შემუშავებული კითხვარი მოიცავდა სოციალურ სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, როგორცაა მუნიციპალურ დონეზე სოციალური ბიუჯეტის პოლიტიკის დაგეგმვა, სოციალური სფეროს ზოგადი შეფასება და არსებული გამოწვევები, ცენტრალურ ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის ხარისხის შეფასება.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ოთხი ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუ, რაც მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების, მეორე მხრივ კი მათ მიერ არსებული სოციალური პროგრამის შეფასების შესწავლას. თითოეული ინტერვიუ წარმართა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. აღნიშნულმა შეხვედრებმა მკვლევარებს შესაძლებლობა მისცა გაეანალიზებინათ როგორც ბენეფიციართა საჭიროებები, ისე მათ მიერ სოციალური ქვეპროგრამების შეფასება.

კვლევის ანგარიშის დოკუმენტი იწყება კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობით. მეორე თავში მიმოხილულია საქართველოს სოციალური მომსახურების სფეროს ძირითადი ასპექტები. ამავე თავში აღწერილია ცენტრალურ დონეზე სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების ადმინისტრირება. მესამე თავი წარმოადგენს მუნიციპალიტეტების დონეზე სოციალური მომსახურების სფეროში არსებული სიტუაციის ზოგად აღწერას. თითოეულ მუნიციპალიტეტს ეთმობა ცალკე ქვეთავი, რომელთა სტრუქტურაც შემდეგი თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი: სოციალური ბიუჯეტის და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი; სოციალური დახმარების გაცემის წესი; არსებული სოციალური პროგრამა, მისი ბიუჯეტი, ასევე, სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მიერ ადგილობრივი სოციალური პროგრამის შეფასება. დოკუმენტის დასასრულს, შეჯამებულია მუნიციპალიტეტებისთვის საერთო მიგნებები და ხარვეზები. აქვე მოცემულია ხარვეზების აღმოსაფხვრელად სამიზნე მუნიციპალიტეტებისათვის შემუშავებული რეკომენდაციები.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები: [http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/74969/biujeti\\_2018](http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/74969/biujeti_2018)



# 1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა 2018 წლის ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდში. იგი ეყრდნობა თვისებრივი კვლევისათვის დამახასიათებელ მეთოდებს, როგორცაა: მეორად წყაროებზე დაფუძნებული სამაგიდო კვლევა, სიღრმისეული და ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუები (იხილეთ დანართი #1).

## სამაგიდო კვლევა

სამაგიდო კვლევით განზრახულია სამიზნე მუნიციპალიტეტებში სოციალური სერვისების მიწოდების ზოგადი მომთხოვნა, რისთვისაც ოთხივე მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების, სოციალური დახმარების გაცემის წესის, მუნიციპალიტეტების სოციალურ სამსახურში არსებული სტატისტიკისა და სხვადასხვა მონაცემთა ბაზის შესწავლა განხორციელდა. გაანალიზდა სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაშრომი, აკადემიური სტატია თუ კვლევა. მუნიციპალურ დონეზე სოციალური მომსახურების შეფასების ამსახველი დოკუმენტაციის სიმწირის მიუხედავად, მკვლევარებმა შეისწავლეს და გაანალიზეს როგორც შესაბამისი საკანონმდებლო აქტები ისე სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალები და კვლევები.

## სიღრმისეული ინტერვიუები

სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის შესწავლის, მოსახლეობის საჭიროებების შესახებ მონაცემების შეგროვების, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენისთვის, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჩატარდა სამუალოდ ერთი საათის ხანგრძლივობის სიღრმისეული ინტერვიუები (იხ. დანართი #2 და დანართი #3) გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კერძოდ, მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელებთან, მერის მოადგილეებთან და რეგიონში მომუშავე სოციალური სერვისების განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კვლევის ფარგლებში, სიღრმისეული ინტერვიუ ჩაინერა თოთხმეტ რესპონდენტთან. (იხილეთ დანართი #4).

სიღრმისეული ინტერვიუებისთვის შემუშავებული კითხვარი მოიცავდა სოციალურ სფეროსთან დაკავშირებულ ისეთ ძირითად საკითხებს, როგორცაა: სოციალური სფეროს ზოგადი შეფასება, სიტუაციის აღწერა და გამოწვევები, ბიუჯეტის/პოლიტიკის დაგეგმვა, თანამშრომლობა და კოორდინაცია ძირითად აქტორებთან: ცენტრალურ ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორთან.

## ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუები

სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მონყვლადი ჯგუფების საჭიროებებისა და მათ მიერ არსებული სოციალური პროგრამის შეფასების შესასწავლად ჩატარდა ოთხი ინტერვიუ ფოკუს-ჯგუფებში. (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი #5). კვლევის ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა დააკვირდე და შეაფასო, როგორ რეაგირებენ რესპონდენტები ერთმანეთის პასუხებზე სოციუმში და რამდენად შედიან ერთმანეთთან პოლემიკაში. დისკუსიისას გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურული კითხვარი, (იხ. დანართი #6) რომელმაც მკვლევარებს შესაძლებლობა მისცა ბენეფიციართა საჭიროებები და მათ მიერ სოციალური ქვეპროგრამების შეფასება საფუძვლიანად გაეანალიზებინათ.

აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუებზე დაფუძნებული კვლევის შედეგები ავსებს და სიღრმისეულ მნიშვნელობას სძენს სამაგიდო კვლევის საფუძველზე გამოკვეთილ ინფორმაციას.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები წინასწარ განსაზღვრული ძირითადი კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა. განსაკუთრებული პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგ კატეგორიებს: შშმ პირი ან მისი ოჯახის წევრი, დედ-მამით ობოლი ბავშვის მეურვე, სტუდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტიდან იღებს დაფინანსებას, ომის ვეტერანი, უსახლკარო, მრავალშვილიანი მშობელი, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი, ქრონიკული ავადმყოფი, ხანდაზმული, სოფლად მცხოვრები (განსაკუთრებით ე. წ. გამყოფი ზოლის სოფლიდან), დევნილი, სოციალურად დაუცველი, რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვის მეურვე/მშობელი, მარტოხელა მშობელი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. რესპონდენტების შერჩევასა გავითვალისწინეთ როგორც

მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამაში მოსარგებლე ბენეფიციარები, ისე სხვა კატეგორიის მოწყვლადი ჯგუფები. ჯამში ჩატარდა ოთხი ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუ – ყოველ მუნიციპალიტეტში ერთი, ხოლო მონანილეთა რაოდენობა თითოეულ შემთხვევაში საშუალოდ ათი ადამიანი იყო.

## 2. სოციალური მომსახურების ზოგადი აღწერა საქართველოში

„საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ“ სოციალურ მომსახურებას ასე განმარტავს: „საქმიანობა, რომლის მიზანია არაფულადი სოციალური დახმარების მეშვეობით მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.“ მოწყვლად ჯგუფებად კი სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირი, ლატაკი ოჯახი ან უსახლკარო ადამიანები მოიაზრება.<sup>2</sup> სახელმწიფო სოციალური პროგრამების უმეტესობა, რომელთა ადმინისტრირებას სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს, ძირითადად ფულად გასაცემელებზეა ორიენტირებული.

საქართველოს სოციალური სისტემის განვითარების პირველი ეტაპი 2004-2005 წლებში დაიწყო და მის ძირითად მიზანს ისეთი სოციალური დაცვის სისტემის შექმნა წარმოადგენდა, რომელიც სიღარიბის მკვეთრ შემცირებასა და უკიდურესად ღარიბი ოჯახების მინიმალური საარსებო წყაროებით უზრუნველყოფას შეუნყოფდა ხელს. თუმცა, აღნიშნული პოლიტიკა მხოლოდ ფულად გასაცემელებზე იყო ორიენტირებული.

2006 წელს დაიწყო რეფორმის მეორე ფაზა, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალური დახმარების მიზნობრიობის გაუმჯობესებას, რათა შეზღუდული ფინანსური რესურსი იმ პირებისკენ ყოფილიყო მიმართული, ვისაც იგი ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან საფუძველი ჩაეყარა მიზნობრივი სოციალური დახმარების შედარებით დახვეწილი სისტემის შექმნას. ამავე პერიოდში, საქართველოს მთავრობამ ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმაც წამოიწყო, რომელიც ეგრეთ წოდებული

საბჭოთა სტილის აღმზრდელობითი დაწესებულებების დახურვასა და დეინსტიტუციონალიზაციას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, დაინერგა ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული მომსახურება. მათ შორის, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლები, დღის ცენტრები, მინდობით აღზრდა და სხვა მომსახურება.

სახელმწიფო სოციალური პროგრამების რეფორმა 2007 წელს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“-ს დაფუძნებით გაგრძელდა. სააგენტო დღემდე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოა და მისი კომპეტენციაა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება. სოციალური მომსახურების სააგენტო ორი სახელმწიფო უწყების 1) სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა და 2) დასაქმებისა და სოციალური დახმარების სახელმწიფო სააგენტოს შერწყმის შედეგად შეიქმნა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს, გარდა ცენტრალური ოფისისა, რომელიც თბილისში მდებარეობს, აქვს 68 ტერიტორიული სამსახური რეგიონებში. სააგენტოს მიზანი დებულებით განსაზღვრულია, როგორც, „მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა“.<sup>3</sup> საქართველოს კანონში სოციალური დახმარების შესახებ<sup>4</sup> დეტალურადაა მოცემული სააგენტოს უფლება-მოვალეობები და კომპეტენციები.

სოციალური პროგრამების დაგეგმვა ცენტრალიზებულია და მთავრობის მიერ დადგენილ პრიორიტეტებს ეფუძნება. სოციალური მომსახურების სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქცია, ტერიტორიული ერთეულების შექმნა და მათი მუშაობის კოორდინაციის, მართვის

<sup>2</sup> საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=12](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=12)

<sup>3</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, 2018 წლის 3 ოქტომბერი. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/4332702?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4332702?publication=0)

<sup>4</sup> საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ: [www.matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=12#](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=12#)

და მონიტორინგის უზრუნველყოფა.<sup>5</sup> სოციალური პროგრამების დაგეგმვის პროცესში ტერიტორიული ერთეულების ჩართულობა მცირეა და ძირითადად გამოიხატება რეგიონის დონეზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და შემდგომში ამ მონაცემების მთავრობისთვის გაზიარებაში. მთავრობა კი, თავის მხრივ, აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით გეგმავს სოციალურ პროგრამებს.<sup>6</sup>

2012 წლიდან დღემდე სოციალური და ჯანდაცვის მიმართულება ქვეყნის პირველ პრიორიტეტად არის მიჩნეული. სახელმწიფო ყოველწლიურად უფრო მეტ ფულს ხარჯავს სოციალურ პროგრამებზე. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მიმართულებით არსებული პროგრამების დაფინანსების წილმა 2018 წლისთვის 30%-ს მიაღწია.<sup>7</sup>

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მოკლედ მიმოვიხილოთ სახელმწიფო დონეზე არსებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები.

## 2.1 სახელმწიფო სოციალური პროგრამები ცენტრალურ დონეზე

### 2.1.1 სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

სახელმწიფო სოციალური პროგრამების მართვას სოციალური მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს, რომელიც ხუთი ძირითად მიმართულებით მუშაობს. ესენია:

1. სოციალური პროგრამები, სადაც თავს იყრის: ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა), ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობა, დღის ცენტრები, სათემო ორგანიზაციები, ფსიქიკური დარღვევის მქონე პირთა

<sup>5</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, 2018 წლის 3 ოქტომბერი. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/4332702?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4332702?publication=0)

<sup>6</sup> გაბუნია, 2016. „ექსპერტული კვლევა და საჭიროებების მონაწილეობითი ანალიზი სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ.“ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.

<sup>7</sup> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები: [www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/74969/biujeti\\_2018](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/74969/biujeti_2018)

თავშესაფრით უზრუნველყოფა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა.

2. ბავშვზე ზრუნვა: ბავშვის შვილად აყვანა, ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები, ბავშვთა დაცვა ძალადობისგან, ოჯახის დამხმარე პრევენციული ღონისძიებები, ბავშვთა რეაბილიტაცია, ბავშვთა ადრეული განვითარება, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება.
3. ჯანდაცვის პროგრამები: საყოველთაო ჯანდაცვა, ჯანდაცვის სხვა პროგრამები, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა.
4. სახელმწიფო გასაცემელი: სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, სოციალური პაკეტი, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება.
5. დასაქმების ხელშეწყობა სამუშაოს მაძიებლისთვის, მათ შორის დამსაქმებელთან კომუნიკაციის გზით.<sup>8</sup>

2018 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტს წარმოადგენდა ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, რის მისაღწევადაც პროგრამებს სახელმწიფო ორი მიმართულებით ახორციელებს: **1.1 მოსახლეობის სოციალური დაცვა და 1.2 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.**<sup>9</sup> აღნიშნული მიმართულებები მოიცავს ქვეპროგრამებსაც.

### მოსახლეობის სოციალური დაცვა

მოსახლეობის სოციალური დაცვა ისეთ მონყვლად ჯგუფებს აერთიანებს, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მიუსაფარი და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები, ხანდაზმულები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები, დევნილი

<sup>8</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო: [http://ssa.gov.ge/?lang\\_id GEO](http://ssa.gov.ge/?lang_id GEO)

<sup>9</sup> საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები. თავი V. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები. 20 სექტემბერი, 2018. [www.mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/II-wardgena/TAVI\\_V.PDF](http://www.mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/II-wardgena/TAVI_V.PDF)

და ლტოლვილი მოქალაქეები, ტრეფიკინგის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ადამიანები და სხვა.

თითოეული ჯგუფისთვის განსაზღვრულია პროგრამები და ფინანსური გასაცემლები, რომლებიც მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზოგადოებაში ინტეგრაციას და რეაბილიტაციას უწყობს ხელს.

მოსახლეობის სოციალური დაცვის კუთხით, სახელმწიფო პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა – ამ კატეგორიაში გაერთიანებულია როგორც ასაკობრივი ჯგუფები (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან), ასევე სხვა პირთა წრე, რომლებიც სარგებლობენ საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამით. ესენია ძალოვანი სტრუქტურების – პროკურატურის და მისთ. ყოფილი თანამშრომლები.
- მოსახლეობის გარკვეული კატეგორიისთვის (სიღარიბის ბლვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები, დევნილები, ლტოლვილები, ორსულები და ა.შ.) მიზნობრივი სოციალური დახმარების უზრუნველყოფა – ძირითადად ეს არის ფულადი სარგებელი – ე.წ. გასაცემლები, რომელიც ხორციელდება, ერთი მხრივ, საარსებო შემწეობის, ხოლო მეორე მხრივ, სოციალური პაკეტის პროგრამებით.
- სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებზე ზრუნვა აერთიანებს შემდეგ მონაცვლად ჯგუფებს: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და სხვადასხვა რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებზე ზრუნვა შესაბამისი მონაცვლადი ჯგუფებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურების განვითარებას და გადაუდებელ დახმარებას ითვალისწინებს.
- მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული შეღავათებით უზრუნველყოფა – აქ იგულისხმება გარკვეული კომუნალური ხარჯების ანაზღაურება, დანამატი პენსიონერებისა და მედიცინის მუშაკებისთვის და ა.შ.
- იმ პირების სამართლებრივი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სარეაბილიტაციო, კვებით და თავშესაფრით უზრუნველყოფა, რომლებიც ადამიანით ვაჭრობისა

და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, შშმ პირებს, ხანდაზმულებს და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს, ასევე სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ პირებს წარმოადგენენ.<sup>10</sup>

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

მოსახლეობის სოციალურ დაცვასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტია ჯანმრთელობის დაცვა. პრიორიტეტი მოიცავს მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას, მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას პრიორიტეტულ სფეროებში და დიპლომის შემდგომ სამედიცინო განათლებას.<sup>11</sup> აღნიშნული მიმართულების მიზანი ერთი მხრივ, დაავადებათა პრევენცია, ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისადმი სახელმწიფოს მზადყოფნის უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციაა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება სიღრმისეულად გაანალიზებული არ არის და ძირითადი აქცენტი გადატანილია მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებაზე.

### 2.1.2 სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების ადმინისტრირება საქართველოში

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების განხორციელება სხვადასხვა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების გზით, ძირითადად, ცენტრალურ დონეზე მიმდინარეობს. პროგრამების ადმინისტრირებას

<sup>10</sup> გაბუნია, 2016. „ექსპერტული კვლევა და საჭიროებების მონაწილეობითი ანალიზი სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ.“ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.

<sup>11</sup> საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები. თავი V. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები. 20 სექტემბერი, 2018. [www.mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/II-wardgena/TAVI\\_V.PDF](http://www.mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/II-wardgena/TAVI_V.PDF)

ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სოციალური მომსახურების სააგენტოს საშუალებით. სააგენტო ცდილობს, სხვადასხვა სოციალურად მონყვლადი ჯგუფები შესაბამისი სოციალური მომსახურებით და ფულადი გასაცემლებით უზრუნველყოს.

სოციალური მომსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც საარსებო შემწეობით უზრუნველყოფს სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახებს. 2018 წლის დეკემბრის მონაცემებით, სახელმწიფო სოციალური პროგრამებიდან საარსებო შემწეობით მოსარგებლე პირების რაოდენობა 435, 450 ადამიანს შეადგენდა<sup>12</sup>. სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა ბოლო სამი წლის მანძილზე გარკვეულ ცვილებებს განიცდიდა. 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, აღნიშნული პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა 20 271 ბენეფიციარით ნაკლები იყო. 2018 წლის დეკემბრის მონაცემებით კი, წინა წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 0,9 პროცენტით შემცირდა და 20 363 ბენეფიციარი შეადგინა (იხილეთ ცხრილი #1).

<b>ცხრილი 1.<sup>13</sup> საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა (2016-2018)</b>			
	2016	2017	2018
საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა (კაცი)	476,084	455,813	435,450
წილი საშუალო წლიურ მოსახლეობაში (%)	12.8	12.2	11.7

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

<sup>12</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო, 30 დეკემბერი, 2018. [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1298](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1298)

<sup>13</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო, 30 დეკემბერი, 2018. [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1298](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1298)

<b>ცხრილი 2.<sup>14</sup> საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა 2018 წლის ივლისის მონაცემებით საქართველოს რეგიონების მიხედვით.</b>			
რეგიონი/რაიონი	საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობა	საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა	საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხა
ქ. თბილისი	30,351	97,896	5,060,469
გურია	4,629	17,689	731,806
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5,317	12,665	636,360
კახეთი	14,012	48,882	2,221,974
იმერეთი	18,315	63,461	2,719,730
მცხეთა-მთიანეთი	5,069	15,404	747,164
სამეგრელო-ზემო სვანეთი	14,499	50,972	2,497,625
სამცხე-ჯავახეთი	3,204	11,151	447,858
ქვემო ქართლი	12,644	44,050	2,037,117
შიდა ქართლი	12,851	46,195	2,100,663
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	8,451	36,921	1,533,372
ზემო აფხაზეთი	—	—	—
სულ	129,342	445,286	20,734,138

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო


გარდა საარსებო შემწეობისა, სოციალური მომსახურების სააგენტო, ყოველთვიურად, გარკვეულ ჯგუფებზე (შშმ პირი, მარჩენალ-დაკარგული, პოლიტიკურად რეპრესირებული, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები და ა.შ) ფულად დახმარებასა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიებს გასცემს, რასაც სახელმწიფო სოციალური გასაცემლების კატეგორიიდან უზრუნველყოფს.

ამ მხრივ, სოციალური მომსახურების სააგენტოს ყველაზე მეტი ბენეფიციარი – 76% შშმ პირთა ჯგუფიდან ჰყავს. მეორე ადგილზე მარჩენალდაკარგული პირები არიან (14%). აღნიშნულ ჯგუფში „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ქრი-

<sup>14</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო, 30 დეკემბერი, 2018. [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1298](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1298)

ლობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ” კანონით განსაზღვრული კატეგორიაა გაერთიანებული. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება სამხედრო ძალების ვეტერანები და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები.<sup>15</sup> (იხილეთ დიაგრამა 1).<sup>16</sup>

**დიაგრამა 1. სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით ქვეყნის მასშტაბით 2018 წელი**



- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები
- მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი
- პოლიტ. რეპრესირებულები
- სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებები
- საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებები
- სხვა

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევა მიზნად ისახავს შიდა ქართლის ოთხ მუნიციპალიტეტში (გორი, ქარელი, ხაშური, კასპი) სოციალური პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის გაანალიზებას, ადგილობრივ დონეზე სოციალური პროგრამისა და ქვეპროგრამის დაგეგმვის პროცესის შესწავლას, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პრაქტიკის მიმოხილვას და სოციალური ქვეპროგრამებით მოსარგებლე მოქალაქეების ინტერვიუებზე დაყრდნობით, ადგილობრივ დონეზე სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას საზოგადოების კმაყოფილების, ინფორმირებულობისა და ჩართულობის ხარისხის შეფასებას.

<sup>15</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო. 20 სექტემბერი, 2018. [www.ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1292](http://www.ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1292)

<sup>16</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო. 20 სექტემბერი, 2018. [www.ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=610](http://www.ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610)

### 3. სოციალური მომსახურების პოლიტიკის ანალიზი სამიზნე მუნიციპალიტეტებში

გარდა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამებისა, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში შექმნილია სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები და განყოფილებები, რომლებიც მთავრობის მიერ განსაზღვრულ ძირითად პრიორიტეტებზე დაყრდნობით, სხვადასხვა რეგიონში, განსხვავებულ სოციალურ პროგრამებს სთავაზობენ ადგილობრივ მოსახლეობას. მუნიციპალური სოციალური პროგრამები მეტწილად, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამების შემავსებელია.

საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ სფეროში საქმიანობის განხორციელებელ სუბიექტებად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, მის სამხარეო ერთეულებს და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მოიაზრებს.

სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით<sup>17</sup> (მუხლი 18, პუნქტი 1), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

- ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ შეფასების სესტემაში (სისტემის მეშვეობით ფასდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დგინდება კეთილდღეობის დონე);
- ბ) უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით;
- გ) აწარმოებენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას;
- დ) უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსთვის ხელმისაწვდომობას.

<sup>17</sup> საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, ხელმისაწვდომია: [www.matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=12](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=12)

ადგილობრივი სოციალური პროგრამების გახორციელებისას, საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ მუნიციპალიტეტებს ავალებს, ამავე კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისთვის გათვალისწინებული სარგებლის შესახებ არსებული მონაცემების სამინისტროსა და სააგენტოსთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ასევე ამ ინფორმაციის შეთავსებას სააგენტოს მიერ წარმოებულ ქვეყანაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ფორმით და პერიოდულობით (სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონი; მუხლი 18, პუნქტი 2).

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს შეუძლია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობისა, ტურიზმის განვითარებისთვის და შეიმუშავოს სოციალური დახმარების, ჯანდაცვის და სხვა პროგრამები.<sup>18</sup>

კვლევის დოკუმენტის მესამე თავში გაანალიზებულია გორის, ხაშურის, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში არსებული სოციალური პოლიტიკის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესი.

თითოეული ქვეთავი სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული ზოგადი სიტუაციის ანალიზით იწყება და გვანჯდის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის სოციალური პოლიტიკისა და შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. შემდგომ, მიმოხილულია მუნიციპალიტეტის სოციალური ბიუჯეტისა და სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი, რასაც სოციალური დახმარების გაცემის წესის აღწერა და არსებული სოციალური ბიუჯეტის და პროგრამების დეტალუ-

რი ანალიზი მოსდევს. ქვეთავი გრძელდება თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის სოციალურად მონყვლადი მოსახლეობის მიერ ადგილობრივი სოციალური პროგრამის/ქვეპროგრამების შეფასების განხილვით, დასასრულს კი, თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტის სოციალურ სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევებია იდენტიფიცირებული.

### 3.1 გორის მუნიციპალიტეტი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2018 წელს გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 123 200 ადამიანს შეადგენდა.<sup>19</sup> ამავე წლის ნოემბრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში საარსებო შემწეობის (სოციალური დახმარების) მიმღები 19 667 ადამიანია (გორის მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 27.9%).<sup>20</sup> აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა პროცენტული რაოდენობა, 2018 წელს 10%-ით გაიზარდა.<sup>21</sup>

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #31 დადგენილების მიხედვით (მე-16 მუხლი, პუნქტი 4) 2018 წელს, გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ჯანდაცვისა და სოციალური საკითხებია. მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტის (44 468 000 ლარი) 6,6% (2 085 000 ლარი) სწორედ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას ხმარდება და ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 1.8%-თაა გაზრდილი. ამ ფინანსური რესურსით, გორის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური ცდილობს,<sup>22</sup>

<sup>19</sup> მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, 1 იანვრის მდგომარეობით. 15 დეკემბერი, 2018. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=151&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo)

<sup>20</sup> საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა. 2018 წლის სტატისტიკა, 15 დეკემბერი 2018. [www.ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1298](http://www.ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1298)

<sup>21</sup> საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა. 2017 წლის სტატისტიკა, 15 დეკემბერი 2018.

<sup>22</sup> გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #31 დადგენილება „გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, 25 დეკემბერი, 2018 წელი. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/3948460?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3948460?publication=0)

ადგილობრივ დონეზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები განახორციელოს. მუნიციპალიტეტში სოციალურ პროგრამებს ახორციელებს ცენტრალური ხელისუფლებაც.

### 3.1.1 სოციალური პროგრამის ბიუჯეტის და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი

ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ორგანოებისთვის არ არსებობს რაიმე სახის სახელმძღვანელო დოკუმენტი ან რეგულაცია, რომელიც სისტემურად განსაზღვრავდა პოლიტიკის დაგეგმვის ყველა ეტაპს – ანალიზს, ანგარიშგებას, მონიტორინგსა და შეფასებას.<sup>23</sup>

გორის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან სიღრმისეულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გორის მუნიციპალიტეტში, სოციალური პოლიტიკის, ისევე როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი არასისტემატიზებულია. გორის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სოციალური სამსახურის უფროსი, ახალი პროგრამის დაგეგმვისას, ძირითადად, წარსული გამოცდილებით ხელმძღვანელობს და გასული წლების პროგრამის შესრულების შეფასებას ეყრდნობა. რესპონდენტები გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან ასევე აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი სოციალური პროგრამების დაგეგმვისას ითვალისწინებენ კვლევის შედეგებსაც, თუმცა კვლევის ცნებაში ისინი ძირითადად მოსახლეობის მომართვიანობის სტატისტიკას მოიაზრებენ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან ინტერვიუებმაც აჩვენა, რომ გორის მოსახლეობის საჭიროებების თვისებრივი, ან სტატისტიკური კვლევა, როგორც წესი, არ ხორციელდება. მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური არ აწარმოებს სოციალური ქვეპროგრამების განხორციელების რეგულარულ მონიტორინგს და არ აფასებს მათ მიერ მიღწეულ შედეგებს და გავლენას. მუნიციპალიტეტის მერია შემოიფარგლება

მხოლოდ იმ ბაზების შექმნით და განახლებით, სადაც მათივე პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია მოცემული. გორის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბენეფიციარების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სოციალური ბიუჯეტის/პოლიტიკის შემუშავების დროს, მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური ცდილობს, ცენტრალური მთავრობის მიერ გამოკვეთილი პრიორიტეტები ყოველწლიურად ადგილობრივ სოციალურ პროგრამაშიც ასახოს. ამ მიდგომის გამოყენებისას, მუნიციპალიტეტი ცდილობს არ გადაფაროს, არამედ შეავსოს არსებული სახელმწიფო სოციალური პროგრამები. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნა, რომ სოციალური პოლიტიკის შემუშავების პროცესში ისინი ცდილობენ სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ დარგობრივ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებზე მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ.

გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის განმარტებით, სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ჩართულია „სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭო“, რომლის შემადგენლობაშიც სოციალური მომსახურების სააგენტოს, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის და თემში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან. აღსანიშნავია, რომ ამავე საბჭოს მიერაა შემუშავებული გორის მუნიციპალიტეტის სოციალური ჩართულობის 2016-2018 წლების სტრატეგია და 2017 და 2018 წლების სამოქმედო გეგმები.<sup>24</sup> სოციალური ჩართულობის სტრატეგია მოიცავს პრიორიტეტებსა და ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს სოციალური მომსახურების განვითარებას გორის მუნიციპალიტეტში და ამასთანავე განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელიც უნდა შესრულდეს სამოქმედო გეგმაში გაწერილი კონკრეტული ღონისძიებების მეშვეობით. საყურადღებოა, რომ სოციალური პოლიტიკის

<sup>23</sup> პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია, 2015 წელი. გვ 7. [www.gov.ge/files/425\\_49310\\_540377\\_PolicyPlanningSystemReformStrategyandActionPlan.pdf](http://www.gov.ge/files/425_49310_540377_PolicyPlanningSystemReformStrategyandActionPlan.pdf)

<sup>24</sup> გორის მუნიციპალიტეტის სოციალური ჩართულობის სტრატეგია, 2017-2018 წელი.



დაგეგმვისა და შემუშავების პროცესზე საუბრისას, არც ერთ რესპონდენტს ზემოაღნიშნული დოკუმენტები არ უხსენებია. როგორც გამოიკვეთა, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური სოციალური პროგრამის დაგეგმვის დროს თანამშრომლობს სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რომელთაც იციან ადგილობრივი თემის საჭიროებები. აღნიშნულ ჯგუფებთან თანამშრომლობა გარკვეულწილად იძლევა ინფორმაციას მონყვლადი ჯგუფების მოთხოვნილებებზე, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო ორგანიზაციები სრულად ვერ მოიცავენ ყველა მონყვლად ჯგუფს და ვერ ფარავენ სამიზნე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს, ინფორმაცია ფრაგმენტული და არასაკმარისია.

მოქალაქეების ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მცირეა და ძირითადად გამოიხატება საჯარო განხილვებში მოსახლეობის ფრაგმენტული მონაწილეობით. საჯარო განხილვები უმთავრესად ფორმალურ ხასიათს ატარებს, სადაც მონაწილეთა მობილიზება სოციალური მედიის საშუალებით ხდება. ეს კი გარკვეულწილად გამორიცხავს იმ მოქალაქეების ჩართულობას, რომლებსაც არ აქვთ სათანადო უნარები და წვდომა კომპიუტერულ ტექნიკასა თუ, ინტერნეტ რესურსებზე და ა.შ. საჯარო შეხვედრების ადგილი ხშირად მუნიციპალური ცენტრი – ქალაქი გორია, რაც დამატებით დაბრკოლებას წარმოადგენს სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. მონაწილეების ჩართულობაში, ძირითადად იგულისხმება მხოლოდ მათთვის ინფორმაციის მიწოდება. ძალიან იშვიათია რაიმე სახის ინიციატივებისა და რეკომენდაციების წარდგენა მოქალაქეების მხრიდან.

### 3.1.2 სოციალური დახმარების გაცემის წესი

გორის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების გაცემა რეგულირდება – „გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს #57 დადგენილებით,<sup>25</sup> რომლის მიხედვითაც, პროგრამით სარგებლობა შეუძლია გორის მუნიციპა-

ლიტეტის ტერიტორიაზე 2018 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ მოსახლეობას<sup>26</sup> და ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს. ამავე დებულებით არის განსაზღვრული ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობები, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიები, მათ მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეობები და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობები.

სოციალური დახმარების გაცემის წესი წარმოადგენს სოციალური დახმარების პროგრამის გაუმჯობესებულ დოკუმენტს. თუ სოციალური დახმარების პროგრამა განსაზღვრავს სამიზნე ბენეფიციარების კატეგორიებს (ვის ეძლევა დახმარება), გაცემის წესი, კატეგორიებთან ერთად, აკონკრეტებს, როგორ და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება დახმარების გაცემა.

გორის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების გაცემის წესში ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია სოციალური მომსახურების სააგენტოდან შემწეობის მიმღებ პირთა ბაზაში ბენეფიციარის რეგისტრაცია და მისი სარეიტინგო ქულის ოდენობა. მაგალითად, უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით მოსარგებლეს სხვა კრიტერიუმებთან ერთად უნდა ჰქონდეს 100 000-დან 150 000-მდე სარეიტინგო ქულა, თუმცა ზოგიერთი ქვეპროგრამის შემთხვევაში, განმსაზღვრელია მხოლოდ სამედიცინო ჩვენება, ასაკი, ოჯახის სოციალური სტატუსი და ა.შ.

ერთი მხრივ, აღნიშნული განსხვავებული მიდგომა და კრიტერიუმად სარეიტინგო ქულის შემოღება ეხმარება მუნიციპალიტეტს უკეთ განკარგოს არსებული ფინანსური რესურსები და დაეხმაროს მათ, ვინც სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაშია რეგისტრირებული და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დადგენილი კრიტერიუმებით არის მონყვლადი, მეორე მხრივ, ზოგიერთ ქვეპროგრამაში სარეიტინგო ქულის, როგორც კრიტერიუმის მოხსნა, ეხმარება მუნიციპალიტეტს დახმარების გარეშე არ დატოვოს ის პირები, ვისაც რიგი მიზეზების გამო სოციალურად დაუცველთა ბაზაში შესაბამისი სარეიტინგო ქულა არ აქვთ, მაგრამ მათი სოციალური მონყვლადობა სხვა კრიტერიუმებით დასტურდება.

<sup>25</sup> შემდგომში, სოციალური დახმარების გაცემის წესი.

<sup>26</sup> რეგისტრაციის ვადა არ ვრცელდება წესის მე-8 და მე-10 მუხლზე.

### 3.1.3 სოციალური პროგრამა და მისი ბიუჯეტი

2018 წელს, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი თანხა 2 085 000<sup>27</sup> ლარით განისაზღვრა. სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამა 21 ქვეპროგრამისგან შედგება. (მონაცემები იხილეთ ბმულზე, დანართი #7 სახით<sup>28</sup>) მიზნობრივი ბენეფიციარებისათვის ერთჯერადი დახმარების გასაწევად, სოციალური დახმარების ქვეპროგრამებიდან ყველაზე მეტი თანხა იხარჯება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად, რაც ჯამურად 235 000 ლარს შეადგენს. ყველაზე მცირე ფულადი სახსრები კი – 2000 ლარის ოდენობით, გამოყოფილია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების მონაწილეობის წილის დაფინანსების ქვეპროგრამისათვის.<sup>29</sup>

არსებული 21 ქვეპროგრამიდან:

ორი ქვეპროგრამა ითვალისწინებს პერიოდული ხასიათის – ყოველთვიურ გასაცემლებს (უსახლკარო მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის თანადაფინანსება; რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით);

ერთი ქვეპროგრამა თანადაფინანსებით უზრუნველყოფს ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებს და სოციალური მომსახურების გამწვან პირებს;

18 ქვეპროგრამა ორიენტირებულია ერთჯერად გასაცემებზე.<sup>30</sup>

<sup>27</sup> გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/3948460?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3948460?publication=0)

<sup>28</sup> გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2018 წლის მიმდინარე ხარჯი 01.01.2018 – 07.08.2018 ჩათვლით. დანართი #7. [https://docs.google.com/document/d/1egPh-n-oQnVT\\_ed0GPvJZwCskVI\\_r6lXT-KXBtO\\_WEU/edit](https://docs.google.com/document/d/1egPh-n-oQnVT_ed0GPvJZwCskVI_r6lXT-KXBtO_WEU/edit)

<sup>29</sup> მონაცემები ეყრდნობა გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2018 წლის 8 აგვისტოს გამოგზავნილ დოკუმენტებს.

<sup>30</sup> დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი #1. გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები.

აღსანიშნავია, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამაში, მნიშვნელოვანი წილი მოდის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სოციალური პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამაზე,<sup>31</sup> რამაც 2018 წელს 250 000 ლარს შეადგინა. ქვეპროგრამა მოიაზრებს არა ერთჯერად დახმარებას, არამედ ადგილზე სოციალური მომსახურების შექმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სხვა არაკომერციული პირების მიერ მერიაში წარდგენილი პროექტების თანადაფინანსების გზით. ბოლო სამი წლის განმავლობაში (2016, 2017, 2018 წლები) ქვეპროგრამის ფარგლებში 17-მა ორგანიზაციამ მიიღო თანადაფინანსება სოციალური პროექტების განსახორციელებლად (მონაცემები იხილეთ ბმულზე, დანართი #8 სახით<sup>32</sup>). თანადაფინანსებული მომსახურებები გათვლილია შემდეგ მონაცვლად ჯგუფებზე: შშმ პირები, სოციალურად დაუცველი ბავშვები, მოხუცები, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები, ომის და სამხედრო ძალების ვეტერანები და იძულებით გადაადგილებული პირები. 2018 წელს მუნიციპალიტეტმა თანადაფინანსების ქვეპროგრამით ყველაზე მეტი ფინანსური მხარდაჭერა გაიღო შშმ პირთა სოციალური მომსახურებისთვის, რამაც ჯამში 75 500 ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხით შშმ პირთა დღის ცენტრისა და საზაფხულო ბანაკის მხარდაჭერა განხორციელდა. მერიის შესაბამისი სამსახური სოციალური პროექტების თანადაფინანსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას სამუშაო ჯგუფის საშუალებით იღებს, თუმცა, არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები, რაც სამუშაო ჯგუფის წევრებს საშუალებას მისცემდა ერთიანი მიდგომით მიეღოთ გადაწყვეტილება პროექტის მხარდაჭერის შესახებ.

2018 წელს, გორის მუნიციპალიტეტის მერია სოციალურ სფეროში მიღწეულ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად 2018 წლის 14 მაისს დამტკიცებულ „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროები-

<sup>31</sup> დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი #2. გორის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ დაფინანსებული პროექტები (2016, 2017, 2018)

<sup>32</sup> გორის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ დაფინანსებული პროექტები. დანართი #8. <https://docs.google.com/document/d/1W0RDw-fD-30nwk1j2tynUaV9ovJJU-MKpWNk6M22sjcc/edit>

თი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესს<sup>33</sup> მიიჩნევს. დებულება განსაზღვრავს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესს, რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებსა და საცხოვრისით დაკმაყოფილების პირობებს, ასევე საცხოვრისით მოსარგებლე პირების მონიტორინგის პროცედურებს. ამ წესის განხორციელების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერმა შექმნა უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან, მერიის თანამდებობის პირებთან და სხვა პროფესიულ საჯარო მოხელეებთან ერთად შედიან, მოწვეული სპეციალისტებიც (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები).<sup>34</sup> გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ირიცხება ორი სოციალური საცხოვრისი, რომელთა ადმინისტრირებას სოციალური სამსახური სამსახური ახორციელებს. დებულების შედეგად სოციალური საცხოვრისით სარგებლობს სწორედ ის კატეგორია, რომელსაც აღნიშნული სერვისი ყველაზე მეტად სჭირდება (ინტერვიუ გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან).

გორის მუნიციპალიტეტი ცდილობს სოციალური პოლიტიკის სფეროში ინოვაციური მოდგომებიც დანერგოს. 2018 წელს მუნიციპალიტეტმა შეცვალა არსებული პრაქტიკა და ქირავნობის პროგრამის განხორციელებასთან ერთად შეიძინა ორი დროებითი საცხოვრისი (ეგრეთ წოდებული საცხოვრებელი კონტეინერი) რაც, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ინოვაციურია და ემსახურება სოფლად მცხოვრები უსახლკარო ოჯახების ბინით უზრუნველყოფას. საცხოვრისის საერთო ფართი 18 კვ. მეტრია, რაც სველ წერტილსაც მოიცავს და მონტაჟდება ბენეფიციარის კერძო საკუთრებაში არ-

სებულ მიწის ნაკვეთზე. ინიციატივა საპილოტეა, თუმცა მუნიციპალიტეტი გეგმავს პროგრამულად განხორციელებასაც, რაც გულისხმობს სოციალურ პროგრამაში მომდევნო წელს 100 000 ლარის მობილიზებას და კიდევ უფრო მეტი ადამიანის უზრუნველყოფას საცხოვრისით. გასულ წლებში მერია ვერ ახერხებდა სოფლად მძიმე საბინაო პირობებში მყოფი მოსახლეობის საცხოვრისით უზრუნველყოფას, აღნიშნული ინოვაციური მიდგომით კი გადანაცვლების მიმღებმა პირებმა ერთი მხრივ, ადგილზე, სოფელში შეინარჩუნეს მოსახლეობა და მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაუმონტაჟეს საცხოვრებელი სახლი, ხოლო მეორე მხრივ, ამ მიდგომით მუნიციპალიტეტმა შეამცირა ყოველთვიური შედარებით არაეფექტური ხარჯები, რადგან ქირით უზრუნველყოფის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები წლიდან წლამდე არ იცვლებიან, ხოლო ბინების შესყიდვა/მონტაჟით შედარებით ხანგრძლივ პერსპექტივაში გვარდება საცხოვრისით უზრუნველყოფის პრობლემა.

### 3.1.4 ადგილობრივი სოციალური პროგრამის შეფასებამონყვლადი ჯგუფების მიერ

გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და არსებული სოციალური პროგრამის (ქვეპროგრამების) შეფასების შესასწავლად, გორის მუნიციპალიტეტში ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუები ჩატარდა 11 რესპონდენტის მონაწილეობით. ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუების დროს, მონაწილეებმა შეაფასეს მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამა, გამოთქვეს რეკომენდაციები გასაუმჯობესებლად, რათა, მუნიციპალიტეტში არსებული ქვეპროგრამები უფრო მეტად მოერგოს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუების შედეგად შეგროვებულ მონაცემთა ანალიზზე დაყრნობით შეიძლება ითქვას, რომ გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა პოზიტიურად აფასებებს სოციალურ პროგრამას და მის შემადგენელ ქვეპროგრამებს, თუმცა ასევე გამოკვეთს რამდენიმე მნიშვნელოვან ხარვეზს, როგორცაა:

1. დახმარების ერთჯერადი ხასიათი;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებულ პროგრამაში, ზოგი-

<sup>33</sup> მონაცემები ეყრდნობა გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის მიერ 2018 წლის 8 აგვისტოს გამოგზავნილ დოკუმენტებს. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #60 დადგენილება.

<sup>34</sup> ინფორმაცია ეყრდნობა გორის მუნიციპალიტეტის მერიის #60 დადგენილებას, „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“. 14 მაისი, 2018 წელი.

ერთი სოციალურად მონყვლადი ჯგუფისათვის ქვეპროგრამების არარსებობა (კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მიმართებით);

3. სოციალური დახმარების გაცემის პროცესში, რიგ შემთხვევაში, საარსებო შემწეობის მიმღები ბენეფიციარებისათვის უპირატესობის მინიჭება, როცა ღარიბი ადამიანების გარკვეული ჯგუფი მოთხოვნილ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს და სოციალური დახმარების მიღმა რჩება;
4. სოციალური პროგრამის შემუშავების პროცესში მოსახლეობის საჭიროებების კვლევის არასისტემურობა.

შეიძლება ითქვას, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ერთჯერად სოციალურ გასაცემლებს ძირითადად პოზიტიურად აფასებენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ინტერვენცია არასაკმარისია.

*„200 ლარი რომელიც მერიამ მომცა ერთხელ, იმ მომენტში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი და ჩემის შვილების გადასარჩენად, რადგან ოჯახური კონფლიქტის გამო, თითქმის ღია ცის ქვეშ დავრჩი, ოჯახის წევრების დახმარების გარეშე.“* (34 წლის, სოციალურად დაუცველი ქალი გორიდან)

დადებით შეფასებასთან ერთად, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა გამოკვეთეს ქვეპროგრამებში არსებული სხვადასხვა ნაკლოვანებები. რესპონდენტების თქმით, ერთჯერად ფულად გასაცემლებზე ორიენტაციის გამო ქვეპროგრამების უმეტესობა, ვერ პასუხობს მონყვლადი მოსახლეობის მრავალჯერად საჭიროებებს და ვერ ცვლის მოქალაქეთა სოციალურ მდგომარეობას უკეთესობისაკენ გრძელვადიან პერსპექტივაში. უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები (ეპილეფსიით, პარკინსონით დაავადებული ავადმყოფის ოჯახის წევრები) აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტის ზრუნვა ამ ადამიანების მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად დასაფასებელია, თუმცა ერთი წლის მანძილზე ერთჯერადად მიღებული თანხა მაქსიმუმ 100 ლარის ოდენობით, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის არასაკმარისია.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ცენტრალური ხელისუფლების გარდა, მუნიციპალიტეტმაც უნდა იზრუნოს დასაქმების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, განსა-

კუთრებით კი შშმ პირებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარებისთვის. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა იმუშაოს სოციალურ პროგრამაში სამუშაო ადგილების შექმნის ხელშემწყობი ქვეპროგრამების დამატებაზე, რაც დაეხმარება სამუშაოს მაძიებლებს სხვადასხვა საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტს ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად ჰქონდა დასაქმების პროგრამის განხორციელების წარმატებული პრაქტიკა, რაც ბოლო ორი წლის მანძილზე აღარ დაფინანსებულა. პროგრამა უზრუნველყოფდა 20 უმუშევარი, აქტიური და მოტივირებული ადამიანის გადამზადებას და პირადი მენტორის დახმარებით ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას მათი შემდგომი დასაქმებისთვის.<sup>35</sup>

ქირით უზრუნველყოფის მუნიციპალური ქვეპროგრამის ბენეფიციარები საუბრობენ იმ სირთულეებზე, რაც შესაბამისი პროგრამით სარგებლობას ახლავს თან.

*„მერიის მხრიდან გამოყოფილი 80 ლარი არის არასაკმარისი, შეუძლებელია ელემენტარული პირობებით უზრუნველყოფა და გვიჭირს ისეთი მესაკუთრის მოძებნა, რომელსაც სურს ოფიციალურად ანგარიშზე დაერიცხოს თანხა.“* – 45 წლის მამაკაცი გორიდან.

კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რომ მუნიციპალური სოციალური პროგრამის ბიუჯეტით ვერ სარგებლობენ, რადგან არ აქვთ საკმარისი ხელშემწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, რაც მათ დაეხმარებოდა მოსახლეობასთან ინტეგრაციასა და საკუთარი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

*„ციხიდან გამოსვლის შემდეგ არ მქონდა ფინანსური შესაძლებლობა პირადობა ამელო, სამსახურის დაწყებაზე ლაპარაკიც კი ბედმეტია, მერიაში მივედი და როგორც გავიგე ჩემნაირ ხალხს ვერ ეხმარებიან.“* – 28 წლის მამაკაცი, გორის მუნიციპალიტეტიდან.

<sup>35</sup> RDFG, დასაქმების პროგრამა, ოქტომბერი, 2016. [www.rdfg.ge/wp](http://www.rdfg.ge/wp)

ქვეპროგრამები ძირითადად მორგებულია იმ ბენეფიციარებზე, რომლებიც, სოციალური მომსახურების სააგენტოს შეფასებით, არაუმეტეს 150 000 ქულას ფლობენ. მუნიციპალიტეტის პროგრამა წინასწარ განსაზღვრავს მოსარგებლე პირთა წრეს და ერთ-ერთ კრიტერიუმად ადგენს სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში მითითებულ სარეიტინგო ქულას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებული მოსახლეობა, ვისაც რიგი მიზეზების გამო (მაგალითად: ოჯახის იმ წევრის შემოსავალი, რომელიც არ არის ჩართული ოჯახზე ზრუნვაში; მცირე შემოსავალი/ხელფასი, რომელიც არასაკმარისია და ვერ ფარავს ბენეფიციარის საჭიროებებს) განსაზღვრულზე უფრო მაღალი ქულათა რაოდენობა აქვს, ხშირად მომსახურების მიღმა რჩება. ესენი არიან ძირითადად ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახის წევრებთან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები სოციალური პროგრამის დაგეგმვისას ცდილობენ მოწყვლადი ჯგუფების უმრავლესობის მოცვას, ინტერვიუს მონაწილე ბენეფიციარები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ინტერვენცია არასაკმარისია და მხოლოდ ნაწილობრივ უმსუბუქებს ადამიანს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ისინი თვლიან, რომ ჯერჯერობით გორის მუნიციპალიტეტის სოციალური ქვეპროგრამები მათი პრობლემების გრძელვადიან გადაწყვეტაზე არაა ორიენტირებული. ამასთანავე, გორში მცხოვრები სოციალური პროგრამით მოსარგებლე ადამიანები მიიჩნევენ, რომ მათი ჩართულობით შედგენილმა სოციალურმა პროგრამამ, შესაძლოა, მეტი სარგებელი მოუტანოს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად მოწყვლად ადამიანებს.

### 3.2 ქარელის მუნიციპალიტეტი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2018 წელს ქარელის მუნიციპალიტეტში 41 100 ადამიანია რეგისტრირებული.<sup>36</sup> საარსებო

შემწევით (სოციალური დახმარებით) მოსარგებლეთა რიცხვი, 2018 წლის ნოემბრის მონაცემებით, 8 643 პირით განისაზღვრება რაც ქარელის მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 21%-ია.<sup>37</sup> აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა პროცენტული რაოდენობა 1 %-ით არის შემცირებული.

ისევე როგორც გორში, 2018 წელს ქარელის მუნიციპალიტეტისთვისაც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა, რაც გამოკვეთილია ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #42 დადგენილების 17-ე მუხლის მეხუთე პუნქტში. ქარელის მუნიციპალიტეტი არსებული რესურსის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უზრუნველყოფას სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით. 2018 წელს, ქარელის მთლიანი ბიუჯეტის 8%<sup>38</sup> მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის გამოიყო, რაც წინა, 2017 წლის მონაცემებთან შედარებით 2%-ით მეტია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დაფინანსების ყველაზე დიდი წილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისა (29%) და განათლების უზრუნველყოფისთვისაა (21%) გათვალისწინებული.

#### 3.2.1 სოციალური პროგრამის ბიუჯეტის და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი

ქარელის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური, როგორც სოციალური პოლიტიკის, ისე ბიუჯეტის დაგეგმვისას, არასათანადოდ ახორციელებს მუნიციპალიტეტში პრობლემებისა და საჭიროებების კვლევას და მხოლოდ სოციალური პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მომართვის სტატისტიკას და წინა წლების სოცი-

<sup>36</sup> მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების და თვით-

მმართველი ერთეულების მიხედვით, 1 იანვრის მდგომარეობით. 15 დეკემბერი, 2018. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=151&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo)

<sup>37</sup> საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა. 2018 წლის სტატისტიკა, 15 დეკემბერი 2018. [www.ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1298](http://www.ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1298)

<sup>38</sup> ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება. 2017 წლის 4 დეკემბერი. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/3879739?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3879739?publication=0)

ალური პროგრამის ანალიზს ეყრდნობა. სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის დროს, დაბალია სამოქალაქო სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობაც, რაც ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, ქარელის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიმცირითა და მოსახლეობის მხრიდან ჩართულობის სურვილის არქონით აიხსნება. აღსანიშნავია, განუვლი დახმარების მიზნობრიობისა და ხარისხის კონტროლის გაუმართაობაც, რაც მონიტორინგის სისტემის არარსებობის მაჩვენებელია.

ქარელის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების გაცემა წესრიგდება საკრებულოს მიერ 2017 წლის 4 დეკემბერს გამოცემული #87 განკარგულებით<sup>39</sup> – „ქარელის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების 2018 წლის მუნიციპალური პროგრამების პაკეტის დამტკიცების შესახებ“. ამავე განკარგულებით განსაზღვრულია სოციალური პროგრამის მიზნები, მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები, პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია და რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური, კომისიური მიდგომის გამოყენების გარეშე, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის დაფინანსების შესახებ რაც ბენეფიციარების მიმართ ობიექტური მიდგომების გამოყენების აღქმას ართულებს.

### 3.2.2 სოციალური პროგრამა და მისი ბიუჯეტი

2018 წელს, ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი თანხა 885 000 ლარით განისაზღვრა.<sup>40</sup> რესურსი 10 ქვეპროგრამის განხორციელებას მოხმარდა. (მონაცემები

დანართი #9 სახით იხილეთ ბმულზე<sup>41</sup>) არსებული პროგრამიდან სოციალური უზრუნველყოფისთვის მთლიანი სოციალური ბიუჯეტის 89% (795 600 ლარი) იხარჯება, ხოლო 11 % (90 000 ლარი) – ჯანდაცვის მომსახურებაზე მოდის. რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვისა და უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტის ქვეპროგრამებს, ყველაზე დიდი წილი – 75% (670 000 ლარი) ოჯახების სოციალური დახმარების უზრუნველყოფისთვის, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა – 1 % (7 600 ლარი) ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების დახმარებისთვისაა გამოყოფილი.

ქარელის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ქვეპროგრამების უმრავლესობა ერთჯერადი ხასიათისაა. გამონაკლისია უფასო კვების პროგრამა, რომელიც უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობისთვის (რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 0-დან 65 000-მდეა<sup>42</sup>) არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა, კერძოდ მოსახლეობის მკურნალობის დაფინანსების ქვეპროგრამა, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ოჯახისთვის მინიჭებულ სარეიტინგო ქულას დახმარების მიღების კრიტერიუმად არ აწესებს. ქვეპროგრამა, წლის განმავლობაში ერთჯერადად მკურნალობის, ოპერაციის ან გამოკვლევების 40 %-ით,<sup>43</sup> არაუმეტეს 4000 ლარის ოდენობით თანადაფინანსებას ითვალისწინებს. ქარელის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი ქვეპროგრამას, თავისი შინაარსითა და გაცემის პირობებით დადებითად აფასებს და გამოკვეთს განსხვავებულ მიდგომას შიდა ქართლის სხვა მუნიციპალიტეტების ქვეპროგრამებთან მიმართებაში. იგი ქვეპროგრამის წარმატებულობის

<sup>39</sup> მონაცემები ეყრდნობა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის მიერ 2018 წლის 8 აგვისტოს გამოგზავნილ დოკუმენტებს.

<sup>40</sup> ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 04 დეკემბრის №42 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/4390325?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4390325?publication=0)

<sup>41</sup> ქარელის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები. დანართი #9. [www.docs.google.com/document/d/12X-tNgBfnmMSfpgANz77wzfljUy6doUyaOx3a8tNtAks/edit](http://www.docs.google.com/document/d/12X-tNgBfnmMSfpgANz77wzfljUy6doUyaOx3a8tNtAks/edit)

<sup>42</sup> მონაცემები ეყრდნობა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის მიერ 2018 წლის 8 აგვისტოს გამოგზავნილ დოკუმენტებს.

<sup>43</sup> მონაცემები ეყრდნობა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის მიერ 2018 წლის 8 აგვისტოს გამოგზავნილ დოკუმენტებს.

განმსაზღვრელად მოიაზრებს იმ გარემოებას, რომ დადგენილი კრიტერიუმების გარეშე, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა მისით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს.

### 3.2.3 ადგილობრივი სოციალური პროგრამის შეფასება მონყვლადი ჯგუფების მიერ

სოციალურად მონყვლადი ჯგუფების მიერ ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუ, რომელსაც 10 რესპონდენტი ესწრებოდა. ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამაზე, შეაფასეს პროგრამის შესაბამისობა მათ საჭიროებებთან და გამოთქვეს მოსაზრებები პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუების შედეგად შეგროვებულ მონაცემთა ანალიზზე დაყრნობით, შეიძლება ითქვას, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ძირითადად პოზიტიურად აფასებებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ პროგრამას. განსაკუთრებულ კმაყოფილებას მოსახლეობის მკურნალობის დაფინანსების ქვეპროგრამასთან მიმართებით გამოთქვამენ .

*„მნიშვნელოვანია მოსახლეობის თანდაფინანსება განსაკუთრებით ოპერაციების დროს და ვფიქრობ, რომ განმსაზღვრელი არ უნდა იყოს სოციალური სტატუსი, ან ქულა. პირადად მე ძალიან დამეხმარა ეს პროგრამა, როდესაც გავიკეთე ბარძაყის ძვლის ოპერაცია, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულია და მიუხედავად სოციალური სტატუსის არქონისა, ძალიან გამიჭირდებოდა საჭირო თანხის მობილიზება, რამაც რამდენიმე ათასი ლარი შეადგინა.“ – 42 წლის ქალი ქარელიდან.*

მონყვლადი ჯგუფები (განსაკუთრებით კი ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფები) მიიჩნევენ, რომ სოციალური პროგრამიდან მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ამოღებამ მათ ფინანსურ მდგომარეობაზე ნეგატიურად იმოქმედა. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურმა მთავ-

რობამ ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისთვის რიგი მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა დაიწყო:

*„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის, დიაბეტის ტიპი 2 (არაინსულინდამოკიდებული), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებები) სამკურნალო მედიკამენტები დაუფინანსდებოდათ“;<sup>44</sup> თუმცა, მოსახლეობის აზრით, აღნიშნული სახელმწიფო ინტერვენცია არასაკმარისია და უმეტეს შემთხვევაში, ბენეფიციარებს თავად უწევთ იმ ძირითადი ხარჯის დაფარვა, რომელიც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ან გასაუმჯობესებლად არის საჭირო.*

*„ვარ ქრონიკული ავადმყოფი და გამუდმებით მესაჭიროება ძვირადღირებული მედიკამენტები, რომელსაც ვერ ვყიდულობ საკუთარი შემოსავლით, რადგან ვარ პენსიონერი და პენსიის თანხა არ არის საკმარისი საკვების, კომუნალურების და მედიკამენტების საყიდლად.“ – 70 წლის მამაკაცი, ქარელიდან.*

ფოკუს-ჯგუფის წევრების ნაწილი, განსაკუთრებით კანონთან კონფლიქტში მყოფი და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირები, ქარელის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამაში მონყვლადი სამიზნე ჯგუფების სიმწირეს გამოკვეთენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამა ერთგვაროვანია და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ქვეპროგრამებსა და რესურსს არ მოიცავს.

*„დიდი სურვილი მაქვს ჩემი შვილები, რომლებიც არიან არასრულწლოვნები, ჩართულები იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში, რადგან მე ამისი ფინანსური საშუალება არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ გორის მუნიციპალიტეტს აქვს ასეთი პროგრამები, სადაც ბავშვებს აქვთ საშუალება სხვადასხვა ღონისძიებებში, ტრენინგებსა და უფასო ექსკურსიებში ჩაერთონ.“ – 47 წლის ქალი ქარელიდან.*

44 სოციალური მომსახურების სააგენტო, 15 აგვისტო, 2018. [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=888](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=888)

ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუების შედეგად შეგროვებული მონაცემების ანალიზზე დაყრნობით შეიძლება ითქვას, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მეტ-ნაკლებად პოზიტიურად აფასებებს ადგილობრივ სოციალურ პროგრამას და მის შემადგენელ ქვეპროგრამებს, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვან ხარვეზს გამოკვეთს. ესენია:

1. ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის დაგეგმვის პროცესში ბენეფიციართა საჭიროებების გაუთვალისწინებლობა;
2. ქვეპროგრამების ერთგვაროვნება;
3. მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის არარსებობა.

### 3.3 კასპის მუნიციპალიტეტი

2018 წელს, კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 42 800 ადამიანი შეადგენდა.<sup>45</sup> ამავე წლის ნოემბრის მონაცემებით, საარსებო შემწეობით (სოციალური დახმარებით) სარგებლობდა 7 620 ადამიანი, რაც კასპის მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 17,8% -ია.<sup>46</sup> 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს, კასპის მუნიციპალიტეტში მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა შემცირებულია 2%-ით.

2018 წელს კასპის მუნიციპალიტეტისთვის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა, რაც დადასტურებულია კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #45 დადგენილების მე-16-ე მუხლის მეხუთე პუნქტით – „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“. სოციალური დახმარების პროგრამა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და დახმარებით უზრუნველყოფას, სარიტუალო მომსახურების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას,

<sup>45</sup> მოსახლეობის 2018 წლის საყოველთაო აღწერა. 15 დეკემბერი, 2018. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=151&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo)

<sup>46</sup> საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა. 2018 წლის სტატისტიკა, 15 დეკემბერი 2018. [www.ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1298](http://www.ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1298)

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსებას ითვალისწინებს. 2018 წელს კასპის მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტის 6,7%<sup>47</sup> მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებისათვის დაიხარჯა. ეს მაჩვენებელი წინა წლის მონაცემებთან შედარებით 2,6%-ით არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 76% ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ხოლო ყველაზე მცირე – 1% თავდაცვაზე, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე იხარჯება.

კასპის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის ბოლო სამი წლის დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტის მერია ყოველწლიურად ცდილობს გაზარდოს როგორც სოციალური პროგრამების რაოდენობა და სამიზნე ჯგუფები, ასევე ბიუჯეტი. თუმცა, ყველა მომსახურება, რომელიც რეგულირდებოდა 2018 წლის და გასული ორი წლის სოციალური დახმარების გაცემის წესით, ერთჯერადია და არ არის მიმართული გრძელვადიანი სოციალური სერვისების შექმნისაკენ, რაც, ბუნებრივია, არაეფექტურია.

#### 3.3.1 სოციალური პროგრამის ბიუჯეტის და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი

კასპის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური სოციალური პოლიტიკის და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ძირითადად ეყრდნობა წინა წლებში მომსახურების მიმღები პირების სტატისტიკას და სოციალური პროგრამების შესრულების შეფასებას. ამასთანავე, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური თანამშრომლობს მუნიციპალიტეტში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებთან, ცდილობს, მათგან გაიგოს და/ან დააბუსტოს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის საჭიროებები და შესაბამისად, სოციალურ პროგრამაში გაითვალისწინოს მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებები და რაოდენ-

<sup>47</sup> „კასპის მუნიციპალიტეტს 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება 8 დეკემბერი 2017 წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4424706?publication=0>



ნობრივი მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურს არ აქვს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. შესაბამისად, არ ფლობს ინფორმაციას მათ მიერ განხორციელებული პროექტების ეფექტიანობაზე, რასაც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გამოიყენებდა.

მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო ორგანიზაციებთან და სოციალური მომსახურების გამწვანებთან ხანგრძლივი თანამშრომლობის პრაქტიკა არ აქვს. სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის დროს, დაბალია სამოქალაქო სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობა. ამ სირთულეებზე, ასევე სოციალურ სამსახურში გადანაცვეტილების მიღების სისტემის მოუქნელობაზე საუბრობს ორგანიზაცია – „კასპის შშმ პირთა კავშირის“ წარმომადგენელი, რომელიც ამბობს, რომ სოციალურ სამსახურს რამდენჯერმე მიმართა წინადადებით სოციალური საწარმოს პროექტის თანადაფინანსებისა და ფართით უზრუნველყოფის შესახებ, თუმცა პასუხისმგებელი ორგანოებისგან უარზე არგუმენტირებული პასუხი არასდროს მიუღია.

სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში, სამოქალაქო ორგანიზაციების და მოქალაქეთა ჩართულობის სიმცირე შეიძლება გამოწვეული იყოს მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ორგანიზაციების ნაკლებობით და შესაბამისად, როგორც ორგანიზაციების, ისე მოსახლეობის მიმართვიანობის სიმცირით. თუმცა, ხაზგასასმელია თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილებაც. 2018 წელს სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდულმა ცენტრმა „მომავალი“, მიმართვის საფუძველზე შშმ ბავშვთა ტრანსპორტირებისთვის და ცენტრის ინტერნეტ ხარჯების დასაფარად მერიის სოციალური ბიუჯეტიდან თანადაფინანსება მიიღო.

### 3.3.2 სოციალური დახმარების გაცემის წესი

კასპის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების გაცემა რეგულირდება საკრებულოს #49 დადგენილებით - „კასპის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. დად-

გენილება განსაზღვრავს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარსადგენ დოკუმენტაციას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

2018 წლის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით განსაზღვრული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური არეგულირებს. სოციალურ პროგრამაში არსებულ ყველა მუხლზე ბენეფიციარის განცხადების განხილვა და გადანაცვეტილების მიღება ხდება კომისიური წესით, რაც ამალღებს გამჭვირვალობას და ხელს უწყობს ობიექტური გადანაცვეტილების მიღებას. კასპის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის, დალი დავითაშვილის განმარტებით, კომისიაში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი 12 წევრია, რომლებიც მოხალისეობრივ საწყისებზე მუშაობენ.

სოციალური დახმარების გაცემის წესსა და სოციალური სამსახურისთვის გამოყოფილ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები, ძირითადად, მიმდინარე წელს დახმარების მიღების მსურველი პირების მომართვიანობასა და ასევე, მერის წარმომადგენლების მიერ თემში არსებული საჭიროებების შესახებ შეგროვილ ინფორმაციას ეყრდნობა.

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების გადაფარვის თავიდან არიდების მიზნით, კასპის მუნიციპალიტეტი სოციალური დახმარების გაცემის წესში იყენებს ისეთ განმარტებებს, როგორცაა მაგალითად: „მუხლი 1. ონკოლოგიური პაციენტების სამედიცინო და მედიკამენტოზური დახმარება. პუნქტი 4. ონკოლოგიურ ავადმყოფს, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან, დახმარება გაენევა ერთჯერადად, სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისთვის თანადაფინანსებით 70%, არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით.“ მსგავსი შინაარსის განმარტება აქვს ყველა მუხლს, რომლითაც დასაფინანსებელი მომსახურება კავშირშია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან.

### 3.3.3 სოციალური პროგრამა და მისი ბიუჯეტი

2018 წელს, კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა 557 500 ლარს<sup>48</sup> შეადგენდა. პროგრამა 27<sup>49</sup> ქვეპროგრამისგან შედგება. ყველა მათგანი ერთჯერადი ფულად გასაცემელზეა ორიენტირებული (მონაცემები იხილეთ ბმულზე დანართი #10 სახით<sup>50</sup>).

კასპის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამა ეხება თითქმის ყველა სოციალურად მოწყვლად ჯგუფს და არ არის მორგებული მხოლოდ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე. კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, მუნიციპალიტეტში ბევრი ოჯახია, რომელიც ვერ ხვდება სოციალური მომსახურების სააგენტოს უკიდურესად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, თუმცა არანაკლებ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს, ვიდრე მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც პროგრამით სარგებლობს. წლიდან წლამდე ბენეფიციართა მოთხოვნის შესაბამისად იცვლება პროგრამები. მაგალითად, ჩამონათვალს დაემატა ოფთალმოლოგიური ოპერაციები, ეტლით მოსარგებლეების თანადაფინანსება, ასევე იმ ონკოლოგიური პაციენტების სტაციონარში განთავსება, რომლებსაც სახელმწიფო სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით გათვალისწინებული დაფინანსების ლიმიტი ამოეწურა.

აღსანიშნავია, რომ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური სოციალური დახმარების ერთჯერადი ქვეპროგრამების გარდა ახორციელებს უფასო

სასადილოს დაფინანსების პროგრამასაც.<sup>51</sup> ქვეპროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 80 უმწეო ბენეფიციარის ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფაა გათვალისწინებული. 2018 წლის ბიუჯეტში კასპის მუნიციპალიტეტის მერიას უმწეოთა კვებისთვის 106 000 ლარი აქვს გათვალისწინებული. 2016 წელს, კასპის მუნიციპალიტეტი ამავე პროგრამაზე 99 200 ლარს ხარჯავდა, 2017 წელს კი – 89 700 ლარს. წინა ორ წელთან შედარებით 2018 წელს მუნიციპალიტეტმა უმწეოთა კვებისათვის მეტი თანხა გაითვალისწინა.

### 3.3.4 ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამის შეფასება მონეყვლადი ჯგუფების მიერ

სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მიერ ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუ, რომელსაც 8 რესპონდენტი ესწრებოდა. კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ ასევე სოციალური პროგრამის რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოკვეთა.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ადაპტაცია სოციალური სამსახურის პირდაპირი პრეროგატივა არ არის, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების მხრიდან არაერთხელ გამოიკვეთა ის პრობლემები, რომელსაც შშმ და სპეციალური საჭიროების მქონე ბენეფიციარები აწყდებიან სერვისის მიღებისას ადაპტირებული გარემოს არარსებობის გამო. ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტების აზრით, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოსა და ინფრასტრუქტურის შექმნა საერთო საქმეა, რომელშიც მერიის სოციალურმა სამსახურმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.

*„ჩვენი გადაადგილება, სხვა პრობლემებზე რომ არ ვისაუბროთ, თითქმის შეუძლებელია მთელი რაიონის მასშტაბით. წარმოდგინეთ, ეტლით მოსარგებლე რომ იყოთ და გინდოდეთ უბრალო კითხვით მიმარ-*

<sup>48</sup> „კასპის მუნიციპალიტეტს 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება 8 დეკემბერი 2017 წ. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/3890388?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3890388?publication=0);

<sup>49</sup> „კასპის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 15 დეკემბერი 2017 წ. [www.drive.google.com/file/d/1YtmnkWUrc12Dz3ML-1NrX9Uzx8oUrU\\_x/view](http://www.drive.google.com/file/d/1YtmnkWUrc12Dz3ML-1NrX9Uzx8oUrU_x/view)

<sup>50</sup> კასპის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები. დანართი #10. [www.docs.google.com/document/d/1pUS-nF9qVSCXC6VPCOSO5rMqBsVOP3RMTMe2HeoTGck/edit](http://www.docs.google.com/document/d/1pUS-nF9qVSCXC6VPCOSO5rMqBsVOP3RMTMe2HeoTGck/edit)

<sup>51</sup> კასპის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 დეკემბრის №45 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/4025724?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4025724?publication=0)

თოთ მერიას, საზოგადოებრივ ტრანსპორტს ვერ გამოიყენებთ, შენობებში ვერ შეხვალთ და თუ შეხვალთ, შიდა გადაადგილებას ვერ შეძლებთ. გამოდის, რომ სახლში უნდა იყოთ და არაფერი აკეთოთ.“ მამაკაცი, 38 წლის, კასპის მუნიციპალიტეტი.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივ დონეზე, უფასო კვების სერვისის გარდა, აუცილებელია, შეიქმნას ისეთი სოციალური მომსახურება, რომელიც მარტოხელა ან მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოხუცებს სხვადასხვა მხარდაჭერით უზრუნველყოფს და მათ თავს უფრო ღირსეულად და დაცულად აგრძნობინებს.

„მე პირადად არ მეხება, მაგრამ დეიდაჩემი, რომელსაც ჩემს გარდა თითქმის არავინ არ ყავს ყურადღების მიქცევი, 86 წლისაა. სოფელში ცხოვრობს და ჯანმრთელობის პრობლემების გარდა ურთიერთობების პრობლემა აქვს, მთელ დღეებს მარტო ატარებს. მე ვერ ვახერხებ მასთან ყოველდღიურ ურთიერთობას და ხშირად საკვების და წამლების მიწოდებასაც კი. შინმოვლის პროგრამა ან სხვა მსგავსი მომსახურება მას დაეხმარებოდა თავი ეგრძნო უფრო დაცულად და მეც მშვიდად ვიქნებოდი, ჩემს იქ არ ყოფნის პერიოდში.“ – ქალი, 46 წლის, კასპი.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფოკუს-ჯგუფში მონაწილე სოციალურად დაუცველი, შშმ და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი სოციალური პროგრამა მათ საჭიროებებს ვერ უზრუნველყოფს. ადგილობრივ დონეზე მათი შვილებისათვის საჭირო სერვისები არ ფინანსდება, ხოლო ცენტრალურ დონეზე არსებული პროგრამებით გათვალისწინებული დახმარება არასაკმარისია.

„ჩემს შვილს ცერებრალური დამბლა აქვს, მთელ დღეს მასთან ვატარებ, რადგან საბავშვო ბაღში ვერ მივიყვან. გარდა იმისა, რომ მისთვის საჭირო მედიკამენტების და რეაბილიტაციის ფული არ გვაქვს, ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მე ვერ ვმუშაობ და გამუდმებით ბავშვთან მიწევს ყოფნა. დღის ცენტრი, ან თუნდაც ფულადი დახმარება დიდი შვება იქნებოდა ჩვენთვის“. – ქალი, 29 წლის, კასპი.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კასპის მუნიციპალიტეტში დასაქმებისა და სოციალური პროგ-

რამების არარსებობა დასახელდა. აღნიშნულ პრობლემას განსაკუთრებით მწვავედ აყენებენ შშმ და კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები. მათი აზრით, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ისეთი სოციალური პროგრამები, რომლებიც მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს. ისინი თვლიან, რომ მუნიციპალიტეტს შეუძლია სულ მცირე წვლილი მაინც შეიტანოს იმ სოციალური საწარმოების გაძლიერებაში, რომლებიც კასპში ფუნქციონირებენ.

### 3.4 ხაშურის მუნიციპალიტეტი

2018 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 52 100 ადამიანია<sup>52</sup>. 2018 წლის ნოემბრის მონაცემებით, საარსებო შემწეობით (სოციალური დახმარებით) ხაშურის მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 17,2% სარგებლობს, რაც 8 955 პირს უტოლდება. 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს, მუნიციპალიტეტში მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა პროცენტული რაოდენობა შემცირებულია 1,3%-ით.

2018 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა, რაც დოკუმენტურად დასტურდება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #48 დადგენილების მე-2 თავის „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები“-ს მეთექვსმეტე მუხლის ბ პუნქტით – მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათების და სოციალური დახმარების გაწევას ითვალისწინებს. კერძოდ, სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის

<sup>52</sup> მოსახლეობის 2018 წლის საყოველთაო აღწერა. 15 დეკემბერი, 2018. [www.geostat.ge/?action=page&p\\_id=151&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo)

გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რაც მიმართულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.<sup>53</sup>

2018 წელს ხაშურის მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტის 9%<sup>54</sup> დაიხარჯა, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით 2,7 %-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 41% ინფრასტრუქტურულ პროექტებზე იხარჯება, ხოლო ყველაზე მცირე 1% – თავდაცვას, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას ხმარდება.

### 3.4.1 სოციალური პროგრამის ბიუჯეტის და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამის, მასში შემავალი ქვეპროგრამების დაგეგმვა და შემდგომში მათი განხორციელება ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილებას. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #43 დადგენილებით განსაზღვრულია, როგორც სოციალური სამსახურის საშტატო ნუსხა, ასევე მისი სტრუქტურა და ძირითადი ფუნქციები. ხაშურის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური 2018 წელს დადგენილი წესით ფუნქციონირებს და მისი ძირითადი უფლებამოსილებებია ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება, მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელება, ჯანდაცვის მუნიციპალური ობიექტების მართვა, უმუშევართა რეგისტრაცია, მათი პროფესიული გადამზადებისა და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

<sup>53</sup> ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ 15 დეკემბერი 2017 წ. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/3919657?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3919657?publication=0)

<sup>54</sup> ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ 15 დეკემბერი 2017 წ. [www.matsne.gov.ge/ka/document/view/3919657?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3919657?publication=0)

ბა, წინადადებების შემუშავება ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის დანებსებულებათა შექმნის და რეორგანიზაციის საკითხებზე, უსახლკართო რეგისტრაცია და მათი თავშესაფრით უზრუნველყოფა, მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, სოციალური პოლიტიკის/ბიუჯეტის დაგეგმვა ძირითადად დამოკიდებულია ბიუჯეტიდან თანხის იმ წილზე, რომელსაც მერია გამოყოფს ამა თუ იმ სამსახურს. თუმცა, ყოველი წლის ნოემბრის პერიოდში, ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენამდე სოციალური სამსახური ცდილობს, მუნიციპალიტეტის მერს და საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს დაუსაბუთოს, თუ რატომ ითხოვს დამატებით თანხას სოციალური პროგრამისთვის.

სოციალური პროგრამების დაგეგმვის პროცესში, ინფორმაციის წყაროდ ასევე გამოიყენება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ყოველკვირეული შეხვედრები მოსახლეობასთან, როდესაც იგი ეცნობა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს.

ქვეპროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა შეზღუდულია, ან საერთოდ არ ხდება. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების აზრით, ამის მიზეზი ადგილობრივ დონეზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაკლებობაა. შედეგად, სოციალური მომსახურება გარკვეულწილად ერთგვაროვანია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური სოციალურ პროგრამას მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გეგმავს, თუმცა განხორციელების პროცესში და შემდგომაც არ იყენებს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს. შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას გაზომოს, თუ რამდენად უმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“, რომლის ძირითად სამიზნე ჯგუფსაც შშმ პირები წარმოადგენს, უკვე მეორე წელია

ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსებით ხაშურის მუნიციპალიტეტში 20 შშმ ბავშვს უწევს მომსახურებას. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას, კონკრეტულად სოციალურ სამსახურს თანადაფინანსებისთვის მიმართა, რადგან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ვაუჩერული დაფინანსებით გათვალისწინებული თანხა ბენეფიციარებისთვის დამატებითი სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფისთვის არასაკმარისია. ამასთანავე, ხაშურის მუნიციპალიტეტში 20-ზე მეტი შშმ ბავშვია, რომელთაც ანალოგიური მომსახურების მიღება სურთ, რაც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სოციალური სამსახურისგან მიიღო დაპირება, რომ გადახედავდნენ არსებულ რესურსებს და შესაძლებლობის შემთხვევაში, გარკვეული თანადაფინანსებით უზრუნველყოფდნენ. 2018 წლის სექტემბრის მონაცემებით, ბიუჯეტში აღნიშნული ცვლილებები არ განხორციელებულა. და არც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ინტერვიუების მსვლელობისას არაფერი უხსენებიათ ამ საკითხთან დაკავშირებით.

### 3.4.2 სოციალური პროგრამა და მისი ბიუჯეტი

2018 წლის მონაცემებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში ძირითადად ერთჯერად გასაცემლებზე ორიენტირებული და 21 მიმდინარე სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამა მუშაობს (მონაცემები იხილეთ ბმულზე, დანართი #11 სახით<sup>55</sup>) ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ადმინისტრირებისთვის მუნიციპალიტეტში შემუშავებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა, რომლის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროგრამის რეგულირების სფეროა როგორც

მკურნალობის, მედიკამენტების, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების თანადაფინანსება, ასევე სხვა ერთჯერადი ფულადი დახმარების განწვევა. პროგრამით განწერილია მოსარგებლე პირთა წრე, პროგრამის ადმინისტრირების წესები და პირობები, სარგებლობისთვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, პროგრამით სარგებლობის დამატებითი პირობები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

2016-2018 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ხაშურის მუნიციპალიტეტში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი მრავალი ტენდენციით ხასიათდება. 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს თანხის ოდენობა 33 961 ლარით გაიზარდა, ხოლო 2018 წელს, წინა წელთან შედარებით სოციალური პროგრამისთვის 12 939 ლარით მეტი გამოიყო.<sup>56</sup>

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური, ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალურ პროგრამას ახორციელებს. ყოველწლიურად პროგრამით საშუალოდ 185 სოციალურად დაუცველი პირი სარგებლობს, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0 დან – 70 000-ის ფარგლებშია. პროგრამით სარგებლობენ შრომისუნარო და მართლხელა პირებიც. უმწეოთა კვების მუნიციპალური პროგრამის 2018 წლის ბიუჯეტი 135 000 ლარია, ხოლო თავად მომსახურება მოიცავს ყოველდღიური, სამკომპონენტიანი სადილით კვების უზრუნველყოფას. პროგრამის მიხედვით დღეში ერთი პირის კვებაზე გახარჯული თანხა 1.99 ლარია.<sup>57</sup>

<sup>55</sup> ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამა. დანართი #11. [www.docs.google.com/document/d/1f7V-JqUwFNGpXVeghGthuEP9\\_8uwb17PYiiNjbMDRPRM/edit](http://www.docs.google.com/document/d/1f7V-JqUwFNGpXVeghGthuEP9_8uwb17PYiiNjbMDRPRM/edit)

<sup>56</sup> მონაცემები ეყრდნობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის მიერ 2018 წლის 20 აგვისტოს გამოგზავნილ დოკუმენტებს.

<sup>57</sup> ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, განკარგულება #127. უმწეოთა უფასო კვების 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ. 15 დეკემბერი, 2017 წელი. [www.khashuri.gov.ge](http://www.khashuri.gov.ge)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამაში უსახლკარო ოჯახებისთვის დროებითი ბინის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაც ხორციელდება რომელიც უკიდურესად შეჭირვებულ უსახლკარო მოსახლეობას თვეში 180 ლარის ოდენობით (ერთ ოჯახზე) ქირის საფასურით უზრუნველყოფს.

ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სოციალური პროექტების თანადაფინანსების კომპონენტი სოციალურ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული, თუმცა, მე-19 მუხლში ნახსენებია „ხანდაზმულთა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, ხანდაზმულთა დღის ცენტრ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „გვირილა“-ს ფუნქციონირების ხელშეწყობა.“ დღის ცენტრის ფუნქციონირებისათვის, წელიწადში 3 100 ლარამდე კომუნალური (გაზი, დენი) გადასახადის დაფარვაა გათვალისწინებული.

### **3.4.3 ადგილობრივი სოციალური პროგრამის შეფასება მონყვლადი ჯგუფების მიერ**

სოციალურად მონყვლადი ჯგუფების მიერ ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუ, რომელსაც 8 რესპონდენტი ესწრებოდა. ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად მონყვლადი ჯგუფები შემდეგ საჭიროებებს გამოკვეთდნენ:

დისკუსიის მონაწილე, დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვემ ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ზრუნავს სხვადასხვა მონყვლად ჯგუფზე, თუმცა წელიწადში ერთხელ 300-ლარიანი დახმარება არასაკმარისია და საჭიროა უფრო მეტი ჩარევა, რათა ბავშვებმა, რომლებიც ისედაც დიდ ფსიქოლოგიურ და ემოციურ წნეხში ცხოვრობენ, ელემენტარული საჭიროებები დაიკმაყოფილონ და გარემოში უკეთესი ადაპტაცია შეძლონ.

*„ჩემი შვილი და მისი მეუღლე ტრაგიკულად გარდაიცვალნენ. დამრჩა ორი შვილიშვილი, რომელზე მეურვეობაც მე ავიღე.*

*ჩემი შემოსავალი ვერ აკმაყოფილებს ჩემი შვილიშვილების ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც კი. სამინისტროს დახმარების გარდა, ხაშურის მერია წელიწადში ორჯერ გვეხმარება 300 ლარით. ეს ბრუნვა ძალიან სასიხარულოა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არასაკმარისი. ვერასოდეს ვერ ვიგებ, რაში უნდა გავანაწილო ეს თანხა. ყოველთვიური დახმარება მერიის მხრიდან იქნებოდა დიდი შვევა ჩემთვის და ჩემი ისედაც უბედური შვილიშვილებისათვის“.* ქალი, 60 წლის, ხაშურიდან.

სოციალური დახმარების ერთჯერადი ხასიათი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის ერთ ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად დასახელდა. ერთ ერთი რესპონდენტი – მარტოხელა მრავალშვილიანი დედა მიჩინევს, რომ გარდა ერთჯერადი სოციალური გასაცემლისა, რომლითაც იგი უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის მხრიდან, აუცილებელია დამატებითი მომსახურების შექმნა, რომელიც მას და მის ოჯახს სიღარიბის დაძლევისა და ღირსეულად ცხოვრებაში დაეხმარება.

*„სოციალურად მონყვლადი ბავშვები წელიწადში ერთხელ მაინც უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი დასვენებით მთის ან ზღვის კურორტზე. განსაკუთრებით ისინი, ვისაც ჰაერისა და გარემოს შეცვლა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოგანსაკუთრებით სჭირდებათ. მე და სხვა მარტოხელა დედებს, სამი ან თუნდაც ნაკლები შვილით არასდროს გვრჩება ფული იმისთვის, რომ ვიზრუნოთ ჩვენი შვილების დასვენებაზე.“* ქალი, 35 წლის, ხაშურიდან.

შშმ პირების მეურვეები აღნიშნავენ, რომ შინმოვლის მომსახურება, კვირაში ერთხელ მაინც, აუცილებელია როგორც შშმ პირებისთვის, ასევე მათი ოჯახის წევრებისთვის. შშმ პირების მშობლებს და მეურვეებს სიღარიბე და გაჭირვებაში უწევთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე შშმ პირების მოვლა, რაც ზოგ შემთხვევაში ოჯახური ძალადობის და კონფლიქტების საწყისი ხდება. შშმ პირთა მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათი შვილებისთვის ასევე აუცილებელია, რაიმე ფორმით დასაქმება და თუნდაც მინიმალური შემოსავალი, რათა მათ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ თავი.

„ოჯახში სამი შშმ პირი გვყავს. ურთულესია ჩვენი ოჯახის მდგომარეობა. ხშირად ერთი წუთი არ მრჩება დრო, რომ უბრალოდ სადმე გავიდეთ. მთელი დღის მანძილზე ყურადღებას ვაქცევ მათ. გარდა იმისა, რომ ჩემი ოჯახის წევრები არ მუშაობენ, მეც ვერ ვმუშაობ და ჩემი შემოსავალი არ მაქვს. ეს კი ამ გაჭირვებულ ყოფას კიდევ უფრო გვიძძიმებს. არ ვიცი, მუსტად რა უნდა გააკეთოს მერიამ, მაგრამ შშმ პირების დასაქმებაზე, ან ჩვენი, მოძველებების, შრომის ანაზღაურებაზე მაინც უნდა იფიქროს.“ ქალი, 50 წლის, ხაშურიდან.

ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე კომუნალური სუბსიდიების მნიშვნელობა. შშმ პირები და დევნილი მოსახლეობა საუბრობს მერიის სოციალური სამსახურის მხრიდან კომუნალური გადასახადების ნაწილის დაფინანსების საჭიროებაზე, თუნდაც მხოლოდ ზამთრის პერიოდში. ისინი აღნიშნავენ, რომ ზამთრის თვეებში, მათი შემოსავლი, ფაქტობრივად მხოლოდ გათბობის უზრუნველყოფას ხმარდება.

სირთულეები აქვთ ასევე უსახლკარო ოჯახებისთვის დროებითი ბინის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით მოსარგებლებსაც. ფოკუს-ჯგუფის დისკუსიისას ისინი აღნიშნავენ, რომ ბინის ქირისთვის პირად ანგარიშზე ჩარიცხული 150 ლარი, მათთვის სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზი გახდა. აღსანიშნავია, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციარებმა არ იციან, რა შემთხვევაში ეხსნებათ მათ სოციალური შემწეობა, შესაბამისად მათი ნდობა სოციალური სააგენტოს მიმართ დაბალია.

### 3.5 შეჯამება

ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების კვლევა შიდა ქართლის ოთხ მუნიციპალიტეტში (გორი, ქარელი, ხაშური და კასპი) განხორციელდა. თითოეულ მუნიციპალიტეტში გაანალიზდა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის შემუშავების პროცესი და მასში სამოქალაქო სექტორისა და მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი. ასევე, შესწავლილ იქნა სოციალური ქვეპროგრამების შესახებ მოქალაქეების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების დონე.

ოთხივე მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოადგენს. საკითხის პრიორიტეტულობა, ოთხივე მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, საკრებულოს მიერ მიღებულ 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილებებში დასტურდება. აღსანიშნავია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2018 წლის დეკემბრის მონაცემებით, 2017 წლის ამავე თვესთან მიმართებაში, შიდა ქართლის რეგიონის, სამ მუნიციპალიტეტში (ქარელი, ხაშური და კასპი) მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა პროცენტული რაოდენობა საშუალოდ 1,5 %-ით შემცირდა. გამონაკლისს გორის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს, სადაც ეს მაჩვენებელი 10%-ით გაიზარდა.

სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიის მთლიანი ბიუჯეტიდან მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური უზრუნველყოფისათვის საშუალოდ 7,5% იხარჯება. ხაშურის მუნიციპალიტეტში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია და 9%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში, სოციალური ბიუჯეტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ზრდის მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს საშუალოდ 2,7 %-ია.

### სოციალური პროგრამისა და ბიუჯეტის დაგეგმვა

ოთხივე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალური პროგრამის და მასში შემავალი ქვეპროგრამების დაგეგმვა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილებათა, რაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებებით რეგულირდება. თითოეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებითაა განსაზღვრული სოციალური სამსახურის სამტატო ნუსხა, მისი სტრუქტურა და ძირითადი ფუნქციები.

სოციალური პროგრამისა და ბიუჯეტის დაგეგმვა ოთხივე მუნიციპალიტეტში უსისტემოდ ხორციელდება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ ადგილობრივ დონეზე არ არსებობს რაიმე სახის სახელმძღვანელო დოკუმენტი, ან რეგულაცია, რომელიც პოლიტიკის შემუშავების მე-

თოდოლოგიას, დაგეგმვის ციკლს, განხორციელების დროს ანგარიშგებასა და შეფასებას განსაზღვრავდა. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე მუნიციპალიტეტში, სოციალური პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართული მერიის თანამშრომლები ამბობენ, რომ სოციალური პოლიტიკის, პროგრამისა და ქვეპროგრამის დაგეგმვას მოსახლეობის საჭიროებების შესწავლით და ანალიზით იწყებენ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ოთხივე სამიზნე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საჭიროებებისა და მათი მოთხოვნის შესაბამისი სოციალური პოლიტიკის შექმნა არასათანადოდ ხორციელდება.

ოთხივე სამიზნე მუნიციპალიტეტში შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები სოციალური პოლიტიკისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, არ იყენებენ მოსახლეობის საჭიროებათა თვისებრივ ან რაოდენობრივ კვლევას. ძირითადად, ოთხივე მუნიციპალიტეტი სარგებლობს წარსული გამოცდილებით და ეყრდნობა გასული წლების პროგრამის შესრულების შეფასებას და მოსახლეობის მომართვიანობის სტატისტიკას, რაც მხოლოდ ფრაგმენტულად ასახავს მონყვლადი ჯგუფების საჭიროებებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტები მხოლოდ ნაწილობრივ ახერხებენ მოთხოვნაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამისა და ქვეპროგრამების შექმნას.

მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის კუთხით, უკეთესი გამოცდილება აქვს გორის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელიც სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში, სამოქალაქო ჩართულობის ერთ-ერთ მექანიზმს – მერის მრჩეველთა საბჭოს იყენებს. მერის მრჩეველთა საბჭო პოლიტიკის შემუშავების პროცესში სამოქალაქო სექტორის ნაწილობრივ ჩართულობას უზრუნველყოფს. გორის მერიის ბაზაზე შექმნილ, „სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს“ შემადგენლობაში შედიან სოციალური მომსახურების სააგენტოს, სამოქალაქო ორგანიზაციების, გუბერნატორის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. საბჭოს მიერ შემუშავებულია სოციალური ჩართულობის სტრატეგია და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. საბჭოს წევრები მუნიციპალიტეტს სოციალუ-

რი პროგრამის და სხვა რელევანტური დოკუმენტების დახვეწაში ეხმარებიან.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განსხვავებული ფორმა აქვს კასპის მუნიციპალიტეტის მერიას. ის სოციალური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში თანამშრომლობს მუნიციპალიტეტში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებთან და ცდილობს მათი მეშვეობით მოახდინოს ბენეფიციართა საჭიროებების იდენტიფიცირება და მოიპოვოს სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელსაც მოგვიანებით სოციალური პროგრამის შემუშავების დროს, სხვადასხვა ქვეპროგრამის შესაქმნელად იყენებს.

### არაფულადი სოციალური მომსახურება

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მომსახურება მოსახლეობისთვის არაფულადი სერვისების მიწოდებასაც გულისხმობს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სოციალური პროგრამა ძირითადად ერთჯერად ფულად გასაცემლებზეა გათვლილი და შესაბამისად, არ არის ორიენტირებული მონყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გრძელვადიან გაუმჯობესებაზე. აღსანიშნავია, რომ კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტებში არაფულადი სოციალური სერვისის სახით, მხოლოდ ერთი სოციალური მომსახურება – უპოვართა კვების პროგრამა, ე.წ. „აუთსორსინგის“ მიდგომით ხორციელდება. ტენდერის საშუალებით შერჩეული კომპანია მონყვლადი მოსახლეობისათვის საკვების მიწოდებას უზრუნველყოფს.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას სოციალური მომსახურების დანერგვისა და განხორციელების განსხვავებული და წარმატებული მიდგომა აქვს. აღნიშნული მოდელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სხვა არაკომერციული პირების თანადაფინანსებით, სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფებისათვის მომსახურების მიწოდებას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სოციალური მომსახურების თანადაფინანსების მწირი გამოცდილება აქვთ, ხაშურისა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებსაც, რაც ძირითადად საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფაში გამოიხატება.



განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლის რეგიონში დაინერგა უსახლკარო პირებისთვის სოციალური პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების რამდენიმე ინოვაციური მიდგომა. ინოვაციური, საპილოტე მიდგომა გამოიყენა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც ორი დროებითი საცხოვრისი (18 მ2) შეიძინა და დაამონტაჟა სოფლად მცხოვრები უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით. ამ მიდგომის დანერგვამდე, უსახლკარო მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებას გორის მერია მხოლოდ ორი გზით ახერხებდა: ერთი მხრივ, მერიის საკუთრებაში არსებულ სოციალურ საცხოვრისში განთავსებით (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსაკლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის მიხედვით) და მეორე მხრივ, ქირის უზრუნველყოფის პროგრამით. გორის მუნიციპალიტეტის მსგავსად, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაც ითვალისწინებს უსახლკარო მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფას, ხოლო კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტში მსგავსი ქვეპროგრამა არ ხორციელდება.

## სოციალური დახმარების გაცემის წესი

შიდა ქართლში მუნიციპალიტეტები სოციალური დახმარების გაცემის ადმინისტრირებისათვის ორგვარ მიდგომას იყენებენ: 1) ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი. 2) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა.

ხაშურის და ქარელის მუნიციპალიტეტები სოციალური დახმარების გაცემას სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამებს საშუალებით არეგულირებენ. ორივე შემთხვევაში დოკუმენტს, სადაც განერილია მოსარგებლე პირთა წრე, პროგრამის ადმინისტრირების წესები და პირობები, სარგებლობისთვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და სხვა დამატებითი პირობები თუ ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის საკრე-

ბულო ამტკიცებს შეზღუდული რესურსების პირობებში, როცა ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმდგენისთვის, დახმარების განწევა შეუძლებელია, გაურკვეველი რჩება, თუ კონკრეტულად რა კრიტერიუმების საფუძველზე არჩევენ ქვეპროგრამის ბენეფიციარებს.

გორის და კასპის შემთხვევაში, შესაბამისი მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური დახმარების გაცემას არეგულირებს დადგენილებით – ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. დოკუმენტი წარმოადგენს სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამის გაუმჯობესებულ ვარიანტს, რომელშიც სამიზნე კატეგორიებთან ერთად განისაზღვრება კრიტერიუმებიც, რომელთა საფუძველზეც ხდება დახმარების გაცემა. დაწესებული კრიტერიუმები დოკუმენტს უფრო კონკრეტულს, ხოლო დახმარების გაცემის წესსა და პირობებს მოსახლეობისთვის უფრო გამჭვირვალესა და გასაგებს ხდის.

მოსახლეობის მიერ ადგილობრივი სოციალური პროგრამების შეფასება

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის სოციალური ქვეპროგრამით მოსარგებლე მოსახლეობა, ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუების დროს, მუნიციპალურ სოციალურ პროგრამებს დადებითად აფასებდა, თუმცა გამოკვეთდნენ ძირითად ხარვეზებსაც. ოთხივე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მხრიდან ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის მთავარ გამოწვევად დასახელდა: 1) პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ხალხის აზრისა და საჭიროების გათვალისწინებლობა; 2) სოციალური ქვეპროგრამების აბსოლუტური უმრავლესობის ერთჯერადი ხასიათი; 3) სოციალური ქვეპროგრამების მიზნობრივ სოციალურ დახმარებასთან – სოციალურ სტატუსთან მჭირდო ბმა.

ოთხივე მუნიციპალიტეტში, ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუს რესპონდენტები ამბობდნენ, რომ მათი პრობლემებითა და საჭიროებებით მუნიციპალიტეტი არ ინტერესდება.

თითოეულ სამიზნე მუნიციპალტეტში სოციალური ქვეპროგრამით მოსარგებლეები გამოკვეთდნენ, რომ დახმარების ერთჯერადი ხასიათი მათ საჭიროებას, მხოლოდ ერთჯერადად აკმაყოფილებს და პრობლემის

გრძელვადიან პერსპექტივაში გადაჭრა ვერ ხერხდება.

ქვეპროგრამების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს იმ ადამიანებს, რომლებსაც სოციალური დახმარების მიძღვრება ბაზაში სარეიტინგო ქულა აქვთ მინიჭებული, ხოლო ის პირები, რომელთაც რეალური საჭიროება აქვთ, მაგრამ მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციარები არ არიან, დიდი ალბათობით, მუნიციპალური ქვეპროგრამით ვერ ისარგებლებენ.

## 4. დასკვნა

კვლევამ შიდა ქართლის ოთხ მუნიციპალიტეტში (გორი, ქარელი, ხაშური და კასპი) სოციალური პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი შეისწავლა. შეგროვებულ მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ოთხივე მუნიციპალიტეტში სოციალური პოლიტიკის (სოციალური ბიუჯეტის, სოციალური პროგრამებისა და ქვეპროგრამების) შემუშავებისა და განხორციელების პროცესი არასისტემატიზებულია, ხოლო პროცესის შემადგენელი აქტივობები არათანმიმდევრულად და არასრულყოფილად ხორციელდება. მუნიციპალური ხელისუფლება სოციალური პროგრამის დაგეგმვის დროს აცნობიერებს მონაცემთა მოქალაქეების პრობლემებისა და გამოწვევების კვლევის საჭიროებას, თუმცა, მოსახლეობის საჭიროებათა შესწავლა ფრაგმენტულად ხორციელდება. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში სოციალური პროგრამები ძირითადად ეფუძნება ბენეფიციართა მომართვიანობის სტატისტიკას და არა მათი საჭიროებების საფუძვლიან ანალიზს.

მოსახლეობის საჭიროებების კვლევის კუთხით, უნდა აღინიშნოს გორის მუნიციპალიტეტის პრაქტიკა, რომელიც სოციალური პოლიტიკის შემუშავების პროცესში, საზოგადოებრივი ჩართულობის ერთ-ერთ მექანიზმს, „მერის/გამგებლის მრჩეველთა საბჭოს“ იყენებს. აღნიშნული მექანიზმი, გორის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს, პოლიტიკის დაგეგმვის დროს, მოსახლეობის საჭიროებათა შესახებ კონსულტაცია გაუწიონ მერს. თუმცა, მექანიზმის ეფექტიანობას საფრთხეს უქმნის ის გარემოება, რომ საზოგადოებრივმა

ორგანიზაციებმა სრულყოფილად არ იციან მოსახლეობის მოთხოვნები და ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მათი სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე შეუძლიათ რელევანტური რეკომენდაციების გაცემა.

ოთხივე მუნიციპალიტეტში, არსებული სოციალური პროგრამები ძირითადად ერთჯერად ფულად გასაცემელს წარმოადგენს, რაც მონაცემთა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების მდგრად განვითარებას ვერ უზრუნველყოფს. მონაცემთა კვლევები მიიჩნევენ, რომ სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარებები არასაკმარისია და მხოლოდ მცირე დროით ცვლის მათ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას უკეთესობისკენ. არაფულადი სოციალური მომსახურების ერთადერთი მაგალითია ხაშურის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების მონაცემთა მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა.

არც ერთ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სოციალური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის და შეფასების სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მონიტორინგის გარკვეული გამოცდილება ოთხივე მუნიციპალიტეტში, აღნიშნული მექანიზმი არ არის სტრუქტურირებული და საჭიროებს დახვეწას.

კვლევამ აჩვენა, რომ ოთხივე მუნიციპალიტეტში, სოციალური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, მოსახლეობის ჩართულობა არასაკმარისადაა უზრუნველყოფილი. ხალხის თქმით, პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით მათ არავინ ეკითხება აზრს და ვერ იხსენებენ შემთხვევას, როდესაც მოქალაქეები ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყვნენ ჩართული. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ მუნიციპალური ხელისუფლება მათი საჭიროებებით უფრო აქტიურად უნდა დაინტერესდეს იმისთვის, რომ ადგილობრივი სოციალური პროგრამა მოსახლეობის რეალური ინტერესების შესაბამისად დაიგეგმოს. მომავალში, მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევისათვის, მნიშვნელოვანია, თვისებრივი კვლევის მეთოდებთან ერთად, რაოდენობრივი მეთოდებიც იქნას გამოყენებული, რათა მიღებული შედეგები განზოგადდეს მთლიან მოსახლეობაზე.

## 5. რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სოციალურად მონყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული, უკეთესი სოციალური მომსახურების სისტემის შესაქმნელად, მკვლევართა ჯგუფმა ოთხივე მუნიციპალიტეტისთვის საერთო რეკომენდაციები შეიმუშავა. ვთვლით, რომ რეკომენდაციათა გათვალისწინება, ერთი მხრივ, შეამცირებს სოციალურ სფეროში მუნიციპალიტეტის დონეზე არსებულ გამოწვევებს და მეორე მხრივ, გაზრდის ბენეფიციართა კმაყოფილების ხარისხს.

თითოეულ სამიზნე მუნიციპალიტეტში სოციალური პოლიტიკის ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭიროა:

- სამიზნე მუნიციპალიტეტებში სისტემატურად ჩატარდეს სოციალურად მონყვლადი ჯგუფების საჭიროებების კვლევა და მოპოვებული ინფორმაცია აისახოს შესაბამის ბაზებში. სასურველია, სწორად მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად, მონაწილეობითი მიდგომის გამოყენებით შეიქმნას მრავალწლიანი სოციალური სტრატეგია, რომელიც გათვლილი იქნება ხანგრძლივ პესპექტივაზე, რის მისაღწევადაც სოციალური სამსახური ყოველწლიურად დაგეგმავს სოციალურ პროგრამას.
  - სოციალური სტრატეგიის გათვალისწინებით შემუშავებული პროგრამების მიხედვით, განისაზღვროს ყოველწლიური რაოდენობრივი და თვისობრივი მისაღწევი მაჩვენებლები და დაინერგოს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც, გარდა სხვადასხვა აქტივობების ზედამხედველობისა, შეაფასებს პროგრამით მოსარგებლეთა მიერ მიღებულ სარგებელს, გავლენას და მის შესაბამისობას ყოველწლიურ მისაღწევ მაჩვენებლებთან.
  - სოციალური პროგრამები, გარდა ერთჯერადი სოციალური გასაცემლებისა, ორიენტირებული იყოს ბენეფიციართა
- გრძელვადიანი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, სასურველია, მუნიციპალიტეტმა წაახალისოს სოციალური სამსახური და სერვისის-მიმწოდებლები, ადგილზე შექმნან და განახორციელონ სოციალური მომსახურება.
- მუნიციპალიტეტებში გადაწყვეტილებების მიღებისთვის დაინერგოს კომისიური მუშაობის მიდგომა. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თუ სერვისის განმახორციელებელი ორგანიზაციების შერჩევისას, კომისიის წევრებმა იხელმძღვანელონ შერჩევის საერთო, მკაცრად და მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
  - მოხდეს ადგილობრივ დონეზე, როგორც პოლიტიკის დაგეგმვის, ასევე პროგრამების შექმნის პროცესში მოსახლეობის, მონყვლადი ჯგუფების და სამოქალაქო ორგანიზაციების ინფორმირებულობა და ჩართულობის უზრუნველყოფა.
  - განხორციელდეს მუნიციპალიტეტების სოციალურ სამსახურებში არსებული საუკეთესო სოციალური პროგრამების გავრცელება და დანერგვა. ასევე, უცხოური პრაქტიკის და გამოცდილების გათვალისწინება, რომელიც საქართველოს მსგავსი წარსულის მქონე ქვეყნებს გააჩნიათ.
  - პროექტების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს პროექტის შესაბამისობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებთან; შეფასდეს იმ პრობლემის აქტუალობა და სოციალური მნიშვნელობა, რომლის მოგვარებისკენაც არის მიმართული პროექტი.
  - მოცემული დროის და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, განისაზღვროს თითოეული პროექტის რეალისტურობა; შეფასდეს პროექტის ხარჯთეფექტურობა და რაც ყველაზე მთავარია, განისაზღვროს პროექტის მდგრადობის მაჩვენებელი.

## 6. გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები. [www.parliament.ge/uploads/other/22/22938.pdf](http://www.parliament.ge/uploads/other/22/22938.pdf)
- საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები. თავი V. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები. [mof.ge/images/File/biujetis\\_kanoni\\_2018/II\\_wardgena/TAVI\\_V.pdf](http://mof.ge/images/File/biujetis_kanoni_2018/II_wardgena/TAVI_V.pdf)
- სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1298](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1298)
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ვებ გვერდი [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=199&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo)
- მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, ვებ გვერდი <http://census.ge/ge/results/census1/migration>
- გაბუნია, 2016. „ექსპერტული კვლევა და საჭიროებების მონაწილეობითი ანალიზი სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ.“ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.
- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №57, 2017 წლის 21 დეკემბერი.
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის 2018 წლის მიმდინარე ხარჯი (01.01.2018 – 07.08.2018)
- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №57, 2017 წლის 21 დეკემბერი.
- გორის მუნიციპალიტეტის მერია, ბრძანება #3880. 13 ივლისი, 2018 წელი.
- ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო. განკარგულება #87. 4 დეკემბერი, 2017.
- ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო. განკარგულება #87. 4 დეკემბერი, 2017
- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო. დადგენილება #43. 4 დეკემბერი, 2017.
- ხაშურის უმწეოთა უფასო კვების 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა.
- კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #49 დადგენილება. 15 დეკემბერი 2017 წელი.
- კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #49 დადგენილება. 15 დეკემბერი 2017 წელი.
- Implementing the Community Lisbon programme: Social services of general interest in the European Union, COM (2006) 177 final.
- Social protection committee “Voluntary European Quality framework for Social services”, SPC/2010/10/8
- European Commission DG for Employment, Social Affairs and Inclusion, Study on Social Service of General interest final report. October, 2011.

## 7. დანართები

### დანართი 1. კვლევის განხორციელების ეტაპები

კვლევის მეთოდი	განხორციელების პერიოდი (2018 წელი)
სამაგიდო კვლევა	აგვისტო-სექტემბერი
სიღრმისეული ინტერვიუები	სექტემბერი
ფოკუს-ჯგუფები	ოქტომბერი
მონაცემთა ანალიზი	აგვისტო-ოქტომბერი

### დანართი 2.

სიღრმისეული ინტერვიუ სამიზნე მუნიციპალიტეტებში გადანაცვების მიმღები სტრუქტურების წარმომადგენლებთან.

#### აღწერა:

კითხვარი მომზადებულია სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობისა და საჭიროებების კვლევის ფარგლებში, რომელიც ეხება სოციალური მომსახურების სფეროს შესწავლასა და ანალიზს, ადგილობრივ დონეზე. კვლევის მიზანია წარმოადგინოს ანალიზი სოციალური სფეროს გამოწვევების (სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის სისტემურობა, ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა სხვადასხვა აქტორებს შორის, სოციალური ჯანდაცვის სწორი მიდგომის დანერგვა და ა.შ.) შესახებ, რეგიონალურ დონეზე, კერძოდ შიდა ქართლის 4 მუნიციპალიტეტში: ქარელი, კასპი, ხაშური, და გორი.

#### კითხვარი:

ზოგადი შეფასება (სიტუაციის აღწერა; გა-  
მონწვევები)

1. ჩამოთვალეთ ის სოციალური პროგრამები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ადგილობრივ დონეზე.
2. რომელი მუნიციპალური სერვისები არის ხელმისაწვდომი მოქალაქეებისათვის? (სამიზნე ჯგუფები, რაოდენობა)
3. რამდენად თანხვედრაშია მუნიციპალური სოციალური სერვისები სახელმწიფო სოციალურ პროგრამებთან? (არის თუ არა გადაფარვები?)
4. როგორ შეაფასებდით ზოგად მდგომარეობას ადგილობრივ დონეზე სოციალური სერვისების მიწოდების კუთხით.

5. როგორია (ზრდადი თუ კლებადი) სოციალური პროგრამების ბიუჯეტი ბოლო სამი წლის განმავლობაში?
6. როგორ ხდება სოციალური პროგრამების ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების ათვისება (განისაზღვროს სტატისტიკური მონაცემები ბოლო სამი წლის განმავლობაში)
7. როგორია ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მიმართვიანობა? ძირითადად, რა ტიპის საჭიროებები იკვეთება მოქალაქეთა მხრიდან? რა ტიპის მიმართვებს ვერ პასუხობს მუნიციპალიტეტები? ხდება თუ არა აღრიცხვა ამ საჭიროებების, თუ კი, როგორ?
8. რა სტატისტიკას აწარმოებთ? რამდენად დეტალურია ეს ინფორმაცია? ვინ არის პასუხისმგებელი მის განახლებაზე? რა სიხშირით ახლდება ეს ინფორმაცია?

#### ბიუჯეტის/პოლიტიკის დაგეგმვა

9. როგორ იგეგმება სოციალური სფეროს პოლიტიკა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში?
10. რის საფუძველზე დგება ყოველწლიური ბიუჯეტის სოციალური სფეროს წილი?
11. წინა გამოცდილების საფუძველზე მხოლოდ, თუ ხდება სტრატეგიული გადაამრება ამ კუთხით? საჭიროებებზე დაფუძნებით?
12. ზოგადად, როგორია მოქალაქეების ჩართულობა სოციალური სფეროს პოლიტიკის ან ბიუჯეტის დაგეგმვისას? რა ფორმით ერთვებიან?
13. ზოგადად, როგორია სამოქალაქო სექტორის ჩართულობა სოციალური სფეროს პოლიტიკის ან ბიუჯეტის დაგეგმვისას? რა ფორმით ერთვებიან?

### გამონვევები:

14. თქვენი აზრით, რა გამონვევები არსებობს ამ სფეროში?
15. რა ნაბიჯები იდგმება იმისათვის, რომ არსებული პრობლემები დაიძლიოს?

### თანამშრომლობა და კოორდინაცია

16. როგორია კოორდინაცია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის სოციალურ სფეროში?
17. როგორ ხდება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის ინფორმაციის გაზიარება?
18. რა სოციალური მომსახურებები ხორციელდება სამიზნე მუნიციპალიტეტებში სხვა აქტორების (არასამთავრობო სექტორი) მხრიდან და რამდენად არის კოორდინაცია ადგილობრივ ხელისუფლებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის?

### კვალიფიკაცია

19. რამდენად კვალიფიციური და ადეკვატურია ადამიანური რესურსები სოციალური გამონვევების საპასუხოდ? (მუნიციპალიტეტების სოციალური სამსახურის განყოფილების თანამშრომლები, სოციალური მუშაკები, სოციალური აგენტები და ა.შ.)

### ინფორმირებულობა

20. რამდენად ხელმისაწვდომია ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობისთვის ცენტრალური თუ ადგილობრივი სახელმწიფო სოციალური პროგრამების შესახებ?
21. რა არხებით ვრცელდება ინფორმაცია არსებული პროგრამების შესახებ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში?

### თეორიული ანალიზი:

22. თქვენი აზრით, როგორია სოციალური მომსახურების სფეროს იდეალური მოდელი? რა ძირითად ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს იგი?
23. რამდენად თანხვედრაშია აღწერილი იდეალური მოდელი ქართულ რეალობასთან?
24. რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ ქართული სოციალური მომსახურების სფერო ამ მოდელს მიუახლოვდეს?

### დანართი 3.

სიღრმისეული ინტერვიუ სამიზნე მუნიციპალიტეტებში სოციალური სერვისის მიმწოდებელ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

### აღწერა:

კითხვარი მომზადებულია სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობისა და საჭიროებების კვლევის ფარგლებში, რომელიც ეხება სოციალური მომსახურების სფეროს შესწავლასა და ანალიზს, ადგილობრივ დონეზე. კვლევის მიზანია წარმოადგინოს ანალიზი სოციალური სფეროს გამონვევების (სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის სისტემურობა, ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა სხვადასხვა აქტორებს შორის, სოციალური ჯანდაცვის სწორი მიდგომის დანერგვა და ა.შ.) შესახებ, რეგიონალურ დონეზე, კერძოდ შიდა ქართლის 4 მუნიციპალიტეტში: ქარელი, კასპი, ხაშური, და გორი.

### კითხვარი:

ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

1. დაასახელეთ თქვენი ორგანიზაციის ძირითადი სამიზნე ჯგუფები.
2. ბოლო სამი წლის მანძილზე განხორციელებული პროექტები, მათ შორის რამდენმა მოწყვლადმა ჯგუფის წევრმა მიიღო სარგებელი პროექტიდან.

### ზოგადი შეფასება

#### (სიტუაციის აღწერა; გამონვევები)

3. რა არის სოციალური მომსახურების სფეროს მთავარი გამონვევები მუნიციპალიტეტში? ასეთის არსებობის შემთხვევაში დაასახელეთ გამომწვევი მიზეზი, თქვენი ხედვა გამონვევების დასაძლევად.
4. რამდენად გაქვთ ინფორმაცია, როგორ იგეგმება სოციალური პროგრამები მუნიციპალიტეტში?
5. როგორ პასუხობს რეგიონში მოქმედი სოციალური პროგრამები საზოგადოებაში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის არსებულ რეალურ საჭიროებებს?
6. რამდენად ხდება გათვალისწინება რეგიონში განხორციელებული პროექტებით მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებები? თუ ხდება მოკვლევა სამიზნე ჯგუფებში, როგორ მუშავდება აღნიშნული ინფორმაცია.
7. რა სოციალური მომსახურების/სერვისების დანერგვა იქნებოდა აუცილებელი

ლი მუნიციპალიტეტის დონეზე, რომელიც უკვე უპასუხებდა ბენეფიციარების მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

**ბიუჯეტის/პოლიტიკის დაგეგმვა**

- 8. რა ინფორმაციას ფლობთ სამიზნე მუნიციპალიტეტში სოციალური მომსახურებების შესახებ, რა სახის თანამშრომლობა არსებობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და აღწერეთ თანამშრომლობის შედეგები.
- 9. როგორია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობა სოციალური/ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში?
- 10. როგორია სამოქალაქო სექტორის ჩართულობა სოციალური პოლიტიკის/ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში?

**თანამშრომლობა და კოორდინაცია**

- 11. მიგიმართავთ თუ არა თანამშრომლობისთვის კონკრეტული წინადადებებით მერიაში? თუ კი დააკონკრეტეთ.
- 12. როგორია კოორდინაცია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის სოციალურ სფეროში? სად არის გადაფარვები და ე.წ. „ჩაჯარდნები“?
- 13. რა სოციალური მომსახურების/სერვისების დანერგვა იქნებოდა აუცილებელი მუნიციპალიტეტის დონეზე, რომელიც უკვე უპასუხებდა ბენეფიციარების მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

**დანართი 4. ინტერვიუში მონაწილეთა მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით**

მუნიციპალიტეტი	სახელი და გვარი	პოზიცია
გორი	დავით ჩიხრაძე	გორის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
	ეკატერინე სუხიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
	მარინე მღებრიშვილი	ა(ა)იპ საზოგადოება “ბილიკი“-ის ხელმძღვანელი
	თინათინ ბრეგვაძე	ა(ა)იპ “კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“-ის ხელმძღვანელი
	ქეთევან ბიძინაშვილი	ა(ა)იპ “ნაბიჯი განვითარებისათვის“-ის ხელმძღვანელი
ქარელი	ვლადიმერ სულაქველიძე	ქარელის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
	ზაზა გაჩეჩილაძე	ქარელის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი
კასპი	დალი დავითაშვილი	კასპის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
	მარიამ მჭედლური	ა(ა)იპ სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდულ ცენტრს „მომავალი“-ის თანამშრომელი
	გიორგი კენჭუაშვილი	ა(ა)იპ სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდულ ცენტრს „მომავალი“-ის ხელმძღვანელი
	თეიმურაზ პარკაძე	ა(ა)იპ „კასპის შშმ პირთა კავშირის“-ის თანამშრომელი

ხაშური	გიორგი ცერცვაძე	ხაშურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
	ზურაბ ჩხიტიანი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
	ნინო სუხიაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

**დანართი 5. ინტერვიუები ფოკუს-ჯგუფებში**

მუნიციპალიტეტი	ფოკუს-ჯგუფის ჩატარების თარიღი	მონაწილეთა რაოდენობა
გორი	25.10.2018	11
ქარელი	18.10.2018	10
ხაშური	16.10.2018	8
კასპი	20.10.2018	11

**დანართი 6. ფოკუს-ჯგუფის დროს დასმული შეკითხვები**

**აღწერა:**

ფოკუს-ჯგუფი ნაწილია სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობისა და საჭიროებების კვლევისა. კვლევა ეხება ეხება სოციალური მომსახურების სფეროს შესწავლასა და ანალიზს, ადგილობრივ დონეზე. კვლევის მიზანია წარმოადგინოს ანალიზი სოციალური სფეროს გამოწვევების (სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის სისტემურობა,

ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა სხვადასხვა აქტორებს შორის, სოციალური ჯანდაცვის სწორი მიდგომის დანერგვა და ა.შ.) შესახებ, რეგიონალურ დონეზე, კერძოდ შიდა ქართლის 4 მუნიციპალიტეტში: ქარელი, კასპი, ხაშური, და გორი.

**სადისკუსიო კითხვები:**

1. რა სოციალურ პროგრამებს იცნობთ სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე?
2. საიდან შეიტყვეთ ამ პროგრამების არსებობის შესახებ?
3. ხართ თუ არა რომელიმე პროგრამის ბენეფიციარი? რომლის?
4. რამდენად კმაყოფილი ხართ ამ პროგრამით და როგორია თქვენი ზოგადი შეფასება. რის გაუმჯობესებას ისურვებდით?
5. გაქვთ თუ არა სხვა საჭიროება, რომელიც არ არის დაკმაყოფილებული არცერთი სახელმწიფო ან ადგილობრივი პროგრამის მიერ? რომელია ასეთი საჭიროება?
6. მიგიმართავთ თუ არა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დახმარების სათხოვნელად? რა ტიპის დახმარებას საჭიროებდით? რა ფორმით მიმართეთ? (წერილობით, ზეპირად და ა.შ.)
7. დაგხმარებიათ თუ არა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი?
8. როგორ შეაფასებდით ურთიერთობას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან საკუთარი საჭიროებების შესახებ საუბრისას?
9. რა სირთულეები ახლავს (მაგალითად: პროცედურულად) სოციალური დახმარების (ან ნებისმიერი პროგრამის) მოთხოვნას მოქალაქის მხრიდან?
10. თუ გსმენიათ სხვა აქტორების მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ ინიციატივებზე? (სამოქალაქო სექტორი) თუ მიგიღიათ მონაწილეობა მათ მიერ დაგეგმილ აქტივობებში?



P M  
X C | Research  
G